რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 13 ივნისი 1917 წ.

ერთობა

ფასი 7 კაპ.

„თანამედროვე აზრის“ გაგრძ.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება [illegible] სამამდე 5 მანეთი სამის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Годовинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 70 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 70

ამხანაგებო! შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

13 ივნისს, სამშაბათს, სოფ. საქარის (შორაპნის მაზ.) მაცხოვრის ეკლესიაზე გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის

ნინა კონსტანტინეს ასულის

საყვარელიძის

მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის საქმრო რუბენ აუშტროვი, დედა ცუცუნია (მარიამი) ძმა სიმონიკა, ბიძა მღ. დავითი და ბიცოლა მარიამი, ბიძაშვილები: ვანო, ვარლამი, პავლე და გრიგოლ საყვარელიძეები, და—თამარ ნადირაძისა და ბიძაშვილი ვასასი ტატიშვილისა.

მშობლები გიორგი და მარინე, ძმები მელენტი და კოლია, დები ქენია და თეკლე ქინქლაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 15 ივნისს დილით ხუთშაბათს დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი

ვანო ქინქლაძის

სულის მოსახსენებლათ მიქელ გაბრიელის მთავარ ანგელოზის ეკლესიაზე.

საარჩევნო ბიურო მე-10 სამილიციო უბნისა

მოთავსებულია მიხაილოვის ქუჩაზედ № 102, ეზოში (ქართული წრის კანტორაში) და ავჭალის აუდიტორიაში, სადაც შეიძლება, გამორჩენილი წევრების ჩაწერა და საჭირო ცნობების მიღება ყოველ დღე დილის 10—12 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე.

საარჩევნო ბიურო რ. ს. დ. მ. პ.

კავკასიის კოოპერატიული ყრილობა

გაიხსნება 15 ივნისს—დღის 12 საათზე, ძმ. ეფიმოვების ცირკში მიხეილის პროსპექტზე. 2—1

განცხადება.

ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს ამავე კლუბის წევრთ, რომ კვირას, 18 ივნისს, შუადღის 12 საათზე, კლუბის შენობაში, დანიშნულია წევრთა

საგანგებო კრება

განსახილველია: მიმდინარე კითხვები და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები. 3—1

თფილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე ბებუთოვის და რტიშჩევის ქუჩის კუთხეში 25—22. ტელ. 13—40.

ინტელიგენტ ქალთა ჯგუფის

ჭრა კერვის სკოლაში გაიხსნა მოკლე ვადიანი კურსები. ასწავლიან ჭრა კერვას და ყოველ გვარ ქარგვას. მოწაფეების მიღება გრძელდება. სწავლის ფასი ხელ მისაწვდომია ყველასათვის. დარიგები მუქთათ. აქვე მიიღება შესაკერავათ კაბები და სხვა.

მისამართი: ვერის დაღმართი, სახლი № 3. ბინა № 9. ეზოში. (10—3)

1-ლი თფ. ინტერნაციონალური შრომის არტელი

იღებს ყოველგვარ სამუშაოს:

სახარატო-მექანიკურ სასლესრო-საწყალსადენო, სპილენძისა, ცინკისა და კესტის სამუშევრებს, აგრეთვე იღებს ავტომობილების რადიატორებს, და ფარორებს.

ფედოროვის ქ. № 1, ფედოსეევის ეკლესიის პირდაპირ. 4—2

თბილისის გუბერნიის მცხოვრებთ.

მოქალაქენო!

მსოფლიო ომმა, რომელიც უკვე სამი წელიწადი გრძელდება, ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში სრული არევ-დარევა გამოიწვია. დათესილ მინდვრების და სასურსათო საქმეების წარმოების შემცირების გამო ჯარის და ხალხის გამოკვების საქმეს დიდი საფრთხე მოელის. ამიტომ არაჩვეულებრივი ზომები უნდა იქნას მიღებული. სასურსათო საქმის გეგმის შესამუშავებლათ და ჯარისა და მცხოვრებლებისათვის სასურსათო საგნების მიწოდების თანახმათ გამომუშავებულ გეგმის მოსაწყობათ, აგრეთვე მიწის საკითხის გადასაწყვეტათ შესაფერი მასალის მისაღებათ, დროებითმა მთავრობამ დაადგინა მოახდინოს სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო და საქალაქო აღწერა. აღწერა ეს თფილისის გუბერნიაში დაიწყება დაახლოებით ივნისის 20 რიცხვებიდან. აღწერა შეეხება, როგორც მცხოვრებლების ისე ქვეყნის სასოფლო სამეურნეო და ეკონომიურ ცხოვრების თითქმის ყველა არსებით მხარეებს. ამიტომ გუბერნიის ყველა მცხოვრებთ მოვუწოდებთ განზრახულ აღწერას სრული ნდობით მოეპყრან; იმ პირთ, ვისაც აღწერა დავალებული ექნება, მიაწოდონ სწორი და მართალი ცნობები, არ უნდა დაივიწყონ, რომ ყოველივე შეცდომა ჩვენების მიცემის დროს, მით უმეტეს განზრახ ყალბი ცნობების მიწოდება საზიანო იქნება უპირველესად თვით მთელი რაიონის ყველა მცხოვრებლებისათვის.

თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტი იმედოვნებს, რომ მცხოვრებლები სრული თანაგრძნობით შეხვდებიან აღწერას, თავის მხრით მთავრობის ყველა დაწესებულებები, აგრეთვე საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტები, მუშების, სალდათების და გლეხების დეპუტატების საბჭოები აღმოუჩენენ ყოველგვარ დახმარებას იმ პირებს, რომლებსაც დაკისრებული ექნებათ აღწერის მოხდენა.

თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტი.

რესტორანების, კლუბების, სასტუმროების, სასადილოების, საჩაიო-საყავეების და სხ. დაწესებულებათა მოსამსახურეების პროფ. კავშირის გამგეობა აუწყებს რა თავის წევრთ, რომ მესამე საქალაქო გიმნაზიის შენობაში, ლერმონტოვის ქ. დანიშნულია

წევრთა საზოგადო კრება

დილის 9 საათზე, 14 ივნისს.

განსახილველია: 1) მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა. 2) განხილვა და დამტკიცება ანგარიშისა და 3) მიმდინარე კითხვები.

მალაქია, ოლია, ვარლამი და გიორგი ხუროძენი გულითად მადლობას უძღვნიან ყველა იმათ, ვინც თანაგრძნობა გამოუცხადა პირველს დაუვიწყარის მეუღლის, მეორეს დედამთილის და უკანასკნელთ ძვირფასის დედის

ბარბარეს

გარდაცვალების გამო.

სტუდენტი

ამზადებს ყველა სასწავლებლისთვის, აგრეთვე სხვადასხვა ხარისხის და წოდებაზე. ვერა. ყაზბეგის ქუჩა № 5. 6—2

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი [illegible] ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ექიმი გ. გ. მუხაძე

იღებს [illegible] ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. [illegible]ნიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი გ. გ. ჰეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 სახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიენცის ქუჩა, № 19.

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგან ავათმყოფობა მდლებისა და გულის. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყველანაირ მდლების წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისტკივილის, —ტრიტით. დიდი სალონიოლი ხმელი ჰაერის [illegible] და არხონვადის ტოკით [illegible] ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის ჰაერის, სისხლ ნაკლებობის, ქრონიკის, ნევრალგიისთვის. ხერხემლის ტვინის ავათმყოფობის [illegible], ბეჭლის, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] გვერდით. ტელეფ. 15—00.

ქუთაისი

ექიმ ბ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ს. საათამდე

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები

მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა საღამოს 5—7 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

ბოლშევიკების ანარქისტული ნაბიჯები.

ბოლშევიკები ანარქისტულ გამოსვლებზე ხელს არ იღებენ. ისინი მარქსისტულ ბრძოლის მეთოდს საქმეებით უარყოფენ და სამოქმედო პრინციპათ ბლანკიზმი გაიხადეს. ლენინის ჯგუფი იმით არ დაკმაყოფილდა, რომ რუსეთის იმპერიაში სხვადასხვა ქალაქები დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოაცხადეს, ამათ იმ ქალაქის მცხოვრებნი საერთო რევოლიუციონურ მოძრაობას გამოთიშეს და მით ანარქია კონტრ-რევოლიუციას ნიადაგს უმზადებენ—ახლა ისინი მილიონობით მუშათა კლასს იარაღით ხელში ქუჩისაკენ მოუწოდებენ და ანარქიას ნიადაგს უმზადებენ.

დეპეშათა ცნობით ლენინსა და მის მიმდევრებს მიზნათ დაუსახავთ სამოქალაქო ომი გააჩაღონ და პეტროგრადის ქუჩებზე სისხლის მორევი დააყენონ. დროებითმა მთავრობამ 10 ივნისს პეტროგრადის ქუჩებზე განცხადებები გააკრა, რომელშიაც იგი ხალხს სიწყნარე-მშვიდობიანობისაკენ მოუწოდებს და ექსცესებისა და ამბოხების მომხდენთ სახელმწიფო ძალით ჩაქრობას ემუქრება.

ლენინისტების მოწოდებას პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოც გამოეხმაურა და მათ პეტროგრადის მუშებს შემდეგი მოწოდებით მიმართეს: ამხ. მუშებო და ჯარისკაცნო! ბოლშევიკების პარტია ჩვენ ქუჩისაკენ გვიხმობს. დაუკითხავათ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსი, დაუკითხავათ სრულიად რუსეთის გლეხთა საბჭოების ყრილობისა და ყველა რევოლიუციონურ პარტიებისა—ისინიც მილიონობით მუშათა ხალხს ქუჩაზე უძახიან. ჩვენ გეუბნებით: ნუ აყვებით ბოლშევიკებს. თქვენი გამოსვლებით უნდათ ისარგებლონ ფარულმა კონტრ-რევოლიუციონურმა ძალებმა, რომლებიც აღტაცებით მოელოდებიან იმ წუთებს, როცა ისინი არეულობით ისარგებლებენ და რევოლიუციას გაანადგურებენ. არც ერთი როტა, არც ერთი პოლკი, არც ერთი ჯგუფი მუშებისა ქუჩაზე არ უნდა გამოვიდეს. დეზორგანიზაციული გამოსვლა—რევოლიუციის დასამარებას ნიშნავს.

ამ სახით ბოლშევიკებმა ანარქისტების „ქუჩის“ თეორია პრინციპათ გაიხადეს. მარქსიზმის ნიადაგი სავსებით უარყვეს. დღეს ისინი რუსეთის ობიექტიურ პირობებს, საწარმოვო ძალთა განვითარებას და მასზე ამოცენებულ კლასობრივ შემეცნებას ანგარიშს არ უწევენ და ხალხს სოციალიზმისაკენ პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას ურჩევენ. საზოგადოთ ყველა რევოლიუციის დროს გამოდიოდნენ ეგრეთ წოდებული მაქსიმალისტები, ისინი რეალურ პირობებს არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ და ხალხს პირდაპირ სოციალიზმის სამეფოში გადასვლას უპირებდნენ. მაგრამ მათი ასეთი უტოპია მუდამ და ყოველთვის დამარცხებით თავდებოდა. თვით კონტრ-რევოლიუციონური ძალები ასეთ ანარქიულ მოძრაობაში დაინტერესებულნი არიან; მათ კარგათ იციან, რომ ანარქია და უწესოება ხალხის თვალში რევოლიუციას სახელს უტეხს და ყველა ასეთ გამოსვლებით დროს შეაფერათ სარგებლობენ. ანარქისტული მოძრაობა და მათი ექსცესები ევროპას ბურჟუაზიულმა მთავრობამ ხშირათ და ძალიან ხშირათ რევოლიუციონურ კლასის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათ იყენებდა და ხშირათ ამ საშუალებით ამარცხებდა მას. ბურჟუაზიას ყველაზე მეტათ შეკავშირებულისა და კლასობრივათ გათვითცნობიერებულ რევოლიუციონურ მუშების ეშინია და იგიც მუდამ იმის ცდაშია ორგანიზაციულათ შეკავშირებულ კლასებში დეზორგანიზაცია შეიტანოს. დაქსაქსვა-დანაწილება მისი საუკეთესო იარაღია და როცა ასეთი ძალთა დანაწილება „რევოლიუციონერების“ მიერ ხდება, მით უმეტეს: ბურჟუაზია აღტაცებას იწევს და მუდამ მზათ არის ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭიროს.

სწორეთ დღეს რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერებს ასეთი ურთიერთობის წარმოშობა სწადიათ და ამის მეოხებით ცდილობენ რევოლიუციას ხალხის თვალში ნდობა დაუკარგონ, ფართო დემოკრატია რევოლიუციის წინააღმდეგ აამხედრონ და ასეთი ანარქიის მეოხებით თავისი მდგომარეობა განამტკიცონ. დიახ, დღეს ლენინი და მისი მიმდევრები თავიანთ მოქმედებით კონტრ-რევოლიუციას ხელს უწყობენ და რევოლიუციის გაღრმავებას საფრთხეში აყენებენ. დროა შეგნებულმა პროლეტარიატმა და ფართო დემოკრატიამ მათი ასეთი გამოსვლები სამუდამოთ დაგმონ და მით ხალხის რევოლიუციონურ შეკავშირება-გათვითცნობიერებას ნიადაგი განუმტკიცონ.

ამიერ კავკასიის რ. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციათა დელეგატების სიეზდი.

(პირველი დღე, 11 ივნისი).

11 ივნისს თფილისში გაიხსნა ამიერ კავკასიის ს.-დ. სიეზდი. ეს პირველი ლეგალური სიეზდია შავ ბნელი რეაქციის ხანგრძლივი ბატონობის შემდეგ. სახალხო სახლი წითელ დროშებით და ყვავილთა ხვეულებით არის მორთული. სცენას ამშვენებს კარლ მარქსის სურათი. ჯერ-ჯერობით ჩამოვიდა 250-ამდე დელეგატი, ყველას ბედნიერების ღიმი უკრთის სახეზე, რომ ასეთ პირობებში უხდებათ მუშაობა.

სიეზდი გახსნა კავკასიის მუშათა მოძრაობის ვეტერანმა სილიბისტრო ჯიბლაძემ, რომლის დანახვა მხურვალე ტაშის ცემისა და ოვაციებს იწვევს.

ჩემს პატარას წილათ ხვდა ბედნიერება—ამბობს ორატორი—გავხსნა პირველი თავისუფალი სიეზდი დღეიდან თავისუფალ ს.-დ. ორგანიზაციებისა. უნებლიეთ ვიგონებ წარსულ შავ დღეებს, ცოტა ბნელ, ნესტიან სარდაფებში გვიხდებოდა მძიმე მუშაობა და მეტის-მეტი შრომისაგან დიდ გაჭირვებას განვიცდიდით. ორატორი იგონებს 1908 წლის შემდგარ სიეზდს. თუ როგორ ვერ მოახერხეს თავის შეყრა მთელი კვირის განმავლობაში „ოხრანკის“ მიერ თვალყურის დევნების გამო. ბოლო დროს, როგორც იყო შევიკრიბეთ „კლდის უბანში“, მაგრამ მეორე დღესვე შემოგვესმა ამხანაგის ხმა, გარს შემოგვერტყენ და თავს უშველეთო.

მართალია, მთავრობა უმთავრესად მუშებს სდევნიდა სასტიკათ, რომლებმაც ჩასცეს მას პირველი სასიკვდილო ლახვარი, მაგრამ ნათქვამია, მადა ჭამის დროს მოდისო და მეფის მთავრობამ თავის ძველ მოკავშირეებსაც ბრძოლა გამოუცხადა. მთავრობის დაღუპვა აუცილებელი შეიქნა. შემდეგ ორატორი ამბობს, რომ წითელი დროშა აფრიალდა და მას მხარი დაუჭირა თვით კაზაკებმაც ნიკოლაევის მოედანზე ამართულ ალექსანდრე მე-III ის ძეგლის კვარცხლბეკთან, რომელიც ასე სისწორით გამოხატავს ხალხსა და ცარიზმის შორის დამოკიდებულებასო. საოცარ პირობებში მოხდა ჩვენი რევოლიუცია. იგი გამოიწვია ეკონომიურ ცხოვრების არევ-დარევამ და ვშიშობ, თუ დროზე არ მოეღო ბოლო უწესოებას, ვინ იცის რითი დათავდება ყოველივე ეს. თავად-აზნაურობა, რომელსაც ეყრდნობოდა ცარიზმი და რომლის ლატიფუნდიები დღესაც ხელუხლებელია, უკვე კავშირდება, ძალას იკრებს. მეორეს მხრით დემოკრატია იქსაქსება ლენინის ავანტიურისტუ-

ლი გამოსვლებით. დღეს, როცა ს.-დ. დიდი საქმე და პასუხისმგებლობა აქვს დაკისრებული, საჭიროა კოლოსალური ენერგიის გამოჩენა, ყველა ცოცხალ ძალთა მობილიზაცია, რევოლიუციის ორგანიზაცია, რომ შევებრძოლოთ მოსალოდნელ კონტრ-რევოლიუციას.

სოც. დემ. აქვს დაკისრებული ინტერნაციონალის აღდგენაც, ამაზეა დამოკიდებული საპატიო ზავის ჩამოგდება და რევოლიუციის გამარჯვება. ჩვენთვის სერიოზული საკითხია ნაციონალური საკითხი. ს.-დ. რომელმაც აიტანა რეაქციის სუსხი და ყოველთვის სწორი პოლიტიკური მიმართულება ეჭირა, რომელიც ყველა სახ. დუმაში ს.-დ. დეპუტატებს გზავნის, იმედია ამ საკითხსაც ღირსეულათ გადასჭრის. დასასრულ, ორატორი უსურვებს სიეზდს ნაყოფიერ მუშაობას.

აკაკი ჩხენკელი ესალმება სიეზდს ს.-დ. ფრაქციის სახელით, რომელიც სათავეში უდგას მძლავრ რევოლიუციონურ ორგანოს,—პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, ესალმება აგრეთვე როგორც კომისარი და პეტრ. მ. და ჯ. დ. საბჭოს სახელით... ურთიერთშორის დამოკიდებულება ჩვენი ორგანიზაციებისა—ამბობს ორატორი—იყო არა მარტო პოლიტიკური, არამედ მეგობრულ—ინტიმურიც. მართალია, რეაქციამ თქვენ მოგწყვიტათ თავის წარმომადგენლებს სახ. დუმაში, მაგრამ ჩვენ მაინც ანგარიშს გიწევდით თქვენ და ყოველთვის თქვენი დირექტივებით ვხელმძღვანელობდით, თქვენს მუშაობას იცნობს მთელი ქვეყანა. ს.-დ. გააკეთა ყველაფერი, რისაც გაკეთება კი შეიძლებოდა, იგი ხელმძღვანელობს მოძრაობას და აძლევს მას მიმართულებას. პეტრ. მუშათა და ჯარ.-კაცთა საბჭოს გავლენა, რომელიც პირველათ შესდგა ჩხეიძე, სკობელევ, ბოგდანოვ და გვოზდიოვისაგან, დღეს ვრცელდება მთელს ევროპაზე და ამერიკაზედაც კი. ს.-დ. შეუძლია იამაყოს, რომ პროლეტარიატმა თავისი მოვალეობა ბრწყინვალეთ შეასრულა, მან შესძლო რუსეთის ჯარის შემოერთება და რევოლიუციისათვის ზოგად ეროვნული ხასიათის მიცემა, რაც თავდებია გამარჯვებისა. ჩვენს გარდა დღეს სხვა პარტიებიც მოქმედობენ, მაგრამ ჩვენზე არის დამოკიდებული შევძლებთ თუ არა ძალთა შეერთებას, მათ სოლიდარულ გამოსვლას ახალი წყობილების დასამყარებლათ და კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველათ. საზოგადო სახელმწიფოებრივ საკითხთა გარდა არის ნაციონალური საკითხი. ამ საკითხში ჩვენმა ტაქტიკამ სავსებით გაიმარჯვა. ჩვენ პირველ რიგზე ვაყენებდით საერთო კითხვებს და ვცდილობდით შეგვექმნა პირობები ნაციონალური საკითხის წამოსაყენებლათ. ნაციონალისტები წინააღმდეგ ფიქრობდენ, მაგრამ ისინი მოტყუვდნენ. მე მსურს შევჩერდე აქ ნაც. საკითხზე, რომ ამ მხრით შოვინისტების მოქმედებით მდგომარეობა გამწვავებულია და კონტრ-რევოლ. სწორეთ აქედან არის მოსალოდნელი. ს.-დ. რომელიც დღემდის მუშაობდა ამ ნიადაგზე, დღეს უნდა გამოიჩინოს მეტი ენერგია, შეაერთოს ყველა ერთა დემოკრატია, რომელიც ერთი გადასჭრის ნაც. საკითხს და შეებრძოლება ნაციონალისტებს, რომლებიც უმზადებენ ნიადაგს კონტრ-რევოლიუციას. საერთო საკითხები, როგორიც არის საკითხი სახელმწიფოებრივი წყობილების, აგრარული, მუშათა და სხვა, მჭიდროთ არიან ერთმანეთში გადაჯაჭვული და მათი გადაჭრა შეუძლებელია, თუ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის სოლიდარული გამოსვლა არ მოეწყო. პატივი და დიდება რუსეთის თავისუფლებისათვის დაღუპულ გმირებს, და თქვენც, რომლებიც შეუჩერებლივ მუშაობდით ხალხის საკეთილდღეოთ. გაუმარჯოს რ. ს.-დ. მ. პარტიას, კერძოთ კავკასიის სოც.-დემოკრატიას, გაუმარჯოს ინტერნაციონალს! ორატორის სიტყვა ოვაციებს იწვევს.

დიდი აღფრთოვანება და ოვაციები გამოიწვია ჭაღარა მასწავლებლის, **ნოე ჟორდანიას** გამოსვლამ. ნოე მიესალმა სიეზდს თფილისის მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოსა და მუშათა და გლეხების კავკასიის ცენტრის სახელით. ამ ორგანიზაციათა მუშაობა—განაგრძობს ორატორი—სავსებით დამოკიდებულია თქვენს მუშაობაზე. ეს ორგანიზაციები არ იქნებოდენ, რომ ჩვენს პარტიას არ ეწარმოებია მუშაობა მუშებსა და გლეხებში. არც ერთ პარტიას დედამიწის ზურგზე შედარებით მოკლე დროში არ რგებია ისეთი გამარჯვება, როგორიც ჩვენსას. თქვენ გახსოვთ, 20 წლის უკან ჩვენს პიონერებს ისე უყურებდენ, როგორც მხეცებს ყველა შეერთდა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ ჩვენ ამაყად გვეჭირა დროშა ხელში და მედგრათ ვიბრძოდით, მარტოობა გვაძნელებდა. შავ ბნელ და მკაცრ ქარიშხალში უვნებლათ გამოვატარეთ ჩვენი წითელი დროშა, დღეს იგი მთელი რუსეთის დროშაა. ხსენებული ორგანიზაციებიც მის ქვეშ მუშაობენ და გიძღვნიან თქვენ გულწრფელ და გულიდამ მადლობას თავდადებულ მუშაობისათვის. დაუსრულებელი ტაში და ოვაციები.

ს.-დ. გაზ. „ალიონი“-სა და მის ირგვლივ არსებულ ჯგუფის იდეიურ მიმართულების სახელით სიეზდს ესალმება ამხ. **ნ. ქარცივაძე** და ამბობს, რომ ს. დ. 1905 წ., რეაქციის მძვინვარების დროსაც და დღევანდლამდე მაღლა ეჭირა ინტერნაციონალური დროშა ხელშიო. მე—განაგრძობს ორატორი—წარმოდგენილი მაქვს, თუ რა საშინელება დატრიალდებოდა ერთა შორის, რომ კავკასიაში ხელმძღვანელობა ნაციონალისტებს დარჩენოდათ. მაგრამ ს.-დ. იბრძოდა ერთა შორის სოლიდარობის განსამტკიცებლათ და შემდეგშიაც უნდა ვებრძოლოთ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის შესაერთებლათ. ყველა საზოგადო კითხვებს თქვენ ღირსეულათ გადასჭრით. ნაციონალური საკითხიც ს. დ., პროლეტარიატმა უნდა გადასჭრას და არა ბურჟუაზიამ.

ჩვენ ყოველთვის ვაღიარებდით ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, დღეს საჭიროა ამ ფორმას კონკრეტიული შინაარსი მივსცეთ. დასასრულ ორატორი მწუხარებას გამოსთქვამს ლენინელთა მოქმედების გამო და ამბობს, რომ პარტიაში შესაძლებელია აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ დიდი დანაშაულია ის, ვინც უმიზეზოთ სცდილობს პარტიაში განხეთქილების შეტანას, მის დაქაქსვას.

დ. პოპოვი ესალმება სიეზდს კავკასიის ჯარის ცენტრის ს.-დ. ფრაქციის სახელით. მთელი სამი თვეა—ამბობს იგი—ჩვენ უფრო დემოკრატიულ მუშაობას ვეწეოდით, ვინემ ს.-დემოკრატიულს, რაც სრულებით ბუნებრივია პოლიტიკურათ ჩამორჩენილ ქვეყანაში. დღეს ჩვენ ვეწევით ყველა დემოკრატიულ ჯგუფების შეკავშირებას, სხვა ძალა არ არის, აქ მართლდება გ. პლეხანოვის სიტყვები, რუსეთის რევოლიუცია გაიმარჯვებს, როგორც მუშათა მოძრაობა, ან სრულიათ ვერ გაიმარჯვებსო. დღეს დემოკრატიის დაქსაქსვა ხდება, მასაში ფეხს იკიდებს ლოზუნგი „ძირს“, ს.-დ. უნდა შეებრძოლოს ამას, მაგრამ არ უნდა დაივიწყოს საკუთარი მიზანიც—სოციალიზმი. ჩვენ პრინციპიალურათ წინააღმდეგი ვართ ომის, მაგრამ დღევანდელ პირობებში შეუძლებელია მისი შეწყვეტა, მდგომარეობა გვაიძულებს მაგრათ ვიდგეთ ფრონტზე, და გავიზიაროთ პეტ. მ. და ჯ. დეპ. საბჭოს პოზიცია. ჯარის ფრონტზე შეჩერება დამოკიდებულია მათ უზრუნველყოფაზე, მაგრამ ძველი რეჟიმის განადგურებული მემკვიდრეობა ნებას არ გვაძლევს დავაკმაყოფილოთ მშიერ ჯარისკაცთა მოთხოვნილება, სამშობლოს წინაშე მოვალეობა კი მათთვის გაუგებარია. უნდა მივყოთ ხელი სოციალისტურ დემოკრატიის ორგანიზაციას და სოც. იდეების გავრცელებას საბოლოო მიზნის მისაღწევათ.

მეტათ მგრძნობიარე სიტყვით ესალმება სიეზდს ამხ. **გ. მახარაძე** მეორე სახ. დუმის ს.-დ. ფრაქციისა და კერძოთ კაკი წერეთლის სახელით, (კაკის სახელით მისალმება ხანგრძლივ ტაშს და ოვაციებს იწვევს), რომელსაც ჯერ კიდევ არ აქვს საშუალება ჩვენს რაზმს დაუბრუნდეს, იგი ეწევა ცენტრში რევოლიუციის ორგანიზაციას. ათი წლის უკან,—განაგრძობს ორატორი,—ჩვენ გამოვიტანეთ სახ. დუმის ტრიბუნაზე თქვენი დავალებანი, მაგრამ მაშინ სტოლიპინის რეჟიმმა დაგვამარცხა და შორს, ცივს ციმბირში გადაგვასახლეს. ჩვენ ხშირათ გვიხდებოდა შეჯახება ძველ რეჟიმთან, მაგრამ იმედს არ ვკარგავდით და დღეს გვახარებს ის, რომ დაუბრუნდით თქვენს რაზმებს თქვენი გამარჯვებით, რევოლიუციის და არა ციმბირის ამნისტიით. მაგრამ ჩვენს სიხარულს ჩრდილავს და გულს გვითუთქავს ის გარემოება, რომ დღეს ყველანი არ არიან ჩვენთან. ორატორი იგონებს არჩილ ჯაფარიძეს, სევერიანე ჯუღელს, ჭოლა ლომთათიძეს. სიეზდმა ფეხზე ადგომით პატივი სცა მათ წმინდა ხსოვნას. ბევრს თვალები ცრემლით აევსო უდროოთ დაღუპულ გმირთა მოგონებაზე. ისინი მოკვდენ, მაგრამ უკანასკნელ წუთამდე არ დაუკარგავთ გამარჯვების იმედი. მე დარწმუნებული ვარ, კავკასიის ს.-დ. ისე დიდებულათ იმოქმედებს, როგორც არა ლეგალურ მუშაობის დროს, და შემატებს ახალ ძალას ინტერნაციონალს.

ამხ. დ. ქარცივაძე ესალმება სიეზდს განთავისუფლებულ პოლიტიკურთა ერთი ჯგუფის სახელით. ჩვენი გზა ნარეკლიანი იყო, მაგრამ იდეიამ მაინც გაიმარჯვა. მეც მოვაქცევ თქვენს ყურადღებას შორს, ციმბირში თავისუფლებისათვის დაღუპულ ებრაელების, სომხების, რუსების, თათრების, ქართველების და სხვა ერთა შვილების საფლავებს. (ორატორის წინადადებით დელეგატებმა იმღერეს სამგლოვიარო მარში).

ამით დასრულდა მისალმება, მილოცვები, რის შემდეგ ერთხმათ არჩეულ იქნა პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, თავმჯდ. ამხანაგი არ. ზურაბოვი, ნოე რამიშვილი, მაქსიმოვი და კარაჯევი. მდივნებათ: ს. აზატიანი, ბ. თევზაია, ელჩანინოვი, გრ. ურატაძე და ჯამალბეგოვი. საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეულ იქნენ სილიბისტრო ჯიბლაძე, აკ. ჩხენკელი და გერ. მახარაძე.

სამანდატო კომისიაში აირჩიეს შემდეგი პირები: ვარდოიანცი, გ. შილაკაძე, ლუკაშევიჩი, ვიქტორ ნინიძე და ლეო რუხაძე.

თავმჯდომარის წინადადებით სიეზდი მისალმების დეპეშას უგზავნის კ. ჩხეიძეს, მ. სკობელევს და კ. წერეთელს.

სიეზდის დღის წესრიგი ასეთია:

1. ანგარიში საოლქო კომიტეტის მოქმედებისა—ნოე რამიშვილი.
2. ჩვენი ტაქტიკა მიმდინარე მომენტში—ნოე ჟორდანია.
3. ომი და ზავი—აკაკი ჩხენკელი.
4. მუშათა საკითხი—ნოე რამიშვილი.
5. აგრარული საკითხი—გ. ლონიევი.
6. ადგილობრივი თვითმართველობა (საქალაქო და საერობო) იშკოვი.
7. დამფუძნებელი კრება—იშკოვი.
8. ნაციონალური საკითხი—ნოე ჟორდანია.
9. პარტიის სალიტერატურო მოღვაწეობა—ნოე ხომერიკი.
10 ამიერ კავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების წესდება—ნოე რამიშვილი.
11. სოციალ დემოკრატიის გაერთიანება.
12. სოც.-დემ. პარტია და პროფესიონალური კავშირები.
13. სხვა პარტიებთან დამოკიდებულება.
14. სხვადასხვა მიმდინარე კითხვები.
15. არჩევნები.

დაარსდა შემდეგი სექციები:

1. აგრარული საკითხი—ლონიევი.
2. ნაციონალური საკითხი—ლეო ნათაძე და კ. გვარჯალაძე.
3. პარტიის ლიტერატურული მოღვაწეობა და წესდება—ნ. ხომერიკი და ნ. რამიშვილი.
4. ადგილობრივი თვითმართველობა—იშკოვი და ბ. თევზაია.

ვენე ალათიშვილი.

(შემდეგი იქნება).

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 9—11 ივნისი).

გერმანიის ს.-დემოკრატების პასუხი.

სტოკჰოლმი. გაზეთ „სოციალ-დემოკრატენ“-ში დაბეჭდილია გერმანიის ს.-დემოკრატიის უმრავლესობის დელეგატების პასუხი პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს მიერ საერთო კონფერენციაზე მიწვევის შესახებ: „გერმანიის ს.-დემოკრატები მზათ არიან დაესწრონ კონფერენციას, რადგან ომის დროს იგინი მუდამ ცდილობდენ რაიმე გაეკეთებინათ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის შესათანხმებლათ და სალამს უძღვნიან რუსეთის დემოკრატიის მიერ წამოყენებული პრინციპს, ომი უკონტრიბუციოთ და უანექსიოთ. გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლა თავის ქვეყნის განვითარებისათვის ჰბადებს მათში მწვავე სურვილს მეზობლათ დემოკრატიული რუსეთი ეყოლოს. საჭიროა შეთანხმებული მუშაობა და თუ პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოც ამ აზრის არის, მან ამის შესახებ გარკვეული წინადადება უნდა წამოაყენოს.

საარჩევნო უფლება ქალებს.

ლონდონი. თემთა პალატამ 29 ხმით წინააღმდეგ 25 ხმისა მიიღო წინადადება, რომლითაც ქალებს ენიჭებათ საარჩევნო უფლება წლოვანების ცენზი 30 წელიწადია.

დამფუძნებელ კრების არჩევნების შესახებ თათბირი.

პეტროგრადი. დამფუძნებელ კრების საარჩევნო თათბირმა დაადგინა რამდენი დეპუტატი უნდა აირჩიონ. სულ უნდა აირჩიონ 800 დეპუტატი. ერთი დეპუტატი 200,000 მცხოვრებზე. საარჩევნო ოლქს შეადგენს გუბერნია. თვითოეულ ოლქში აირჩევენ არა ნაკლებ 5 დეპუტატისა. პეტროგრადს და მოსკოვს განსაკუთრებულ ოლქებათ გამოჰყოფენ. კანდიდატებს ზარათებით ირჩევენ. საბოლოოთ გადაწყდა დამფუძნებელ კრებისთვის თავრიდის სასახლე გადააკეთონ.

ბალშევიკების მოწოდება.

პეტროგრადი. სრულიად რუსეთის დეპუტატთა საბჭოების ყრილობაზე ე. გეგეჭკორმა წარუდგინა ყრილობას გაზეთ „პრავდა“-ს ნომერი, სადაც მოუწოდებენ მცხოვრებთ გამოვიდნენ ქუჩაში. გეგეჭკორი მოუწოდებს ყრი-

ეროვნული საკითხი.

(ნოე ჟორდანიას მოხსენება, რომელიც მან წაიკითხა მუშათა და გლეხთა საბჭოების დეპუტატთა ყრილობაზე).

ამხანაგებო! ეროვნული საკითხი მეტად რთული კითხვაა. დღემდე მთელს ჩვენს მუშაობას საერთო პოლიტიკურ საკითხებს ვანდომებდით, ვინაიდან ასეთი საერთო საკითხების გადაჭრა იმ საფუძვლად მიგვაჩნდა, რომელიც სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტას ხელს შეუწყობდა. ჩვენ მუდამ გულმოდგინეთ ვასრულებდით ამ საქმეს; მაგრამ, როგორც ვხედავთ, ამ საერთო საკითხის გადაწყვეტის დრო დადგა—საძირკველი ეყრება დემოკრატიულ წყობილებას—ამიტომ ჩვენი მოვალეობაა სერიოზული ყურადღება მივაქციოთ ეროვნულ საკითხს: ჩვენ უნდა გამოვნახოთ ის უფლებრივი ნორმა, პოლიტიკური პირობები, რომელთა ფარგლებში შესაძლებელი იქნება ამ საკითხის მოქცევა.

მე ვფიქრობ, რომ ეროვნულ საკითხს ჩვენ ჯეროვნათ არ ვიცნობთ, ამიტომ მსურს ჩემი აზრი გამოვსთქვა ამ საკითხის შესახებ, რაც შეიძლება, მოკლეთ და მკაფიოდ.

იმ სახით, რა სახითაც ჩვენ დღეს ვხედავთ ერს, არ არსებობდა არა თუ საშვალო საუკუნოებში, არამედ ასეთი სახით ის ასი წლის წინეთაც არ არსებობდა. იმ ხანებში ერი დანაწილებული იყო რამდენიმე დამოუკიდებელ ნაწილებათ და თითოეული მათგანი თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებას ეწეოდა. ერის ასეთ გათიშვას საფუძვლად მათი ეკონომიური სხვადასხვაობა ედო. იმ ხანებში ყოველი სოფელი დამოუკიდებელ ეკონომიურ ცხოვრებას ეწეოდა. ყოველგვარ მოთხოვნილებებს საკუთარი საშუალებებით იკმაყოფილებდა—არც ჰყიდდა რამეს, არც ყიდულობდა, ერთი სიტყვით ეკონომიურ ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. ასეთ ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდენ საშვალო საუკუნის ქალაქები და სოფლები. მაგრამ ალებ-მიცემობის განვითარებასთან ერთად ერის სხვადასხვა ნაწილებში ახალი ეკონომიური ცხოვრება დაიწყო. განსაკუთრებით ეს თვალსაჩინო გახდა ზღვის და დიდი მდინარეების ნაპირათ მცხოვრებ ერთა შორის. აღმოცენდა ახალი ეკონომიური მიმდინარეობა. გაძლიერდა მისწრაფება საწარმოვო ძალთა განვითარებისა, რითაც საფუძველი ჩაეყარა კაპიტალისტურ წესწყობილებას. რამდენათაც ეს ალებ-მიცემობის მიმდევარი ერის ნაწილი თავისი გავლენის გავრცელებას ცდილობდა ერის სხვა ნაწილებზე, რამდენათაც ეს ეკონომიური ტენდენცია ვითარდებოდა ხალხში იმდენათ ერი ერთ მთელ ორგანიზმათ იქნებოდა.

როგორც ვხედავთ, ეროვნული განვითარების მამოძრავებელ ძალათ და მისი გაერთიანების მიზეზათ წარმოების ახალი წესი ანუ კაპიტალიზმი ითვლება. ეწყობა ეროვნული სახელმწიფო, რომლის საფუძველს შეადგენს საქონლის წარმოება—განაწილების წესი. ის ერები, რომლებიც ასეთ ეკონომიურ და პოლიტიკურ მოძრაობის განვითარებას ფეხდაფეხ გაჰყვენ, მოწინავე ერთა რიცხვში მოექცენ—მათ საკუთარი სახელმწიფო შექმნეს. იქმნება რამდენიმე ერთა სახელმწიფო, რომელშიაც ერთი მპყრობელი ერი ბატონობს. ასეთი მდგომარეობა დიდხანს გრძელდება. ის ეკონომიური მიმდინარეობა, რომელმაც მოწინავე ერი შექმნა, თანდათან ფეხს იკიდებს სხვა ერთა შორის. ისინიც სტოვებენ ჩაკეტილ ცხოვრებას და საქონლის წარმოება-გაცვლა გამოცვლის საქმეში წინ მიიწევიან. ერის ახალ კლასებათ დანაწილება ხდება, ჩნდება ბურჟუაზია, მუშათა კლასი და სხ. ასე რომ, ჩამორჩენილი ერები თავიანთი სოციალური აგებულობით გაბატონებულ ერს ემსგავსებიან. დამონებული ერების ახალი ეკონომიურ სარბიელზე გამოსვლის და მის კლასებათ დაყოფის შემდეგ აშკარავდება წინააღმდეგობა გაბატონებულ და დამონებულ ერთა შორის. აი, აქ იბადება ეროვნული საკითხი.

საიდან გამომდინარეობს ეს წინააღმდეგობა? ახალი ეკონომიური მოძრაობის მატარებელი ერში ბურჟუაზიაა. ბურჟუაზიის მისწრაფებაა რაც შეიძლება გაფართოვოს წარმოება და გახდეს გაბატონებულ კლასათ. გაბატონებულ კლასათ ყოფნა მას შეუძლია არა მარტო ეკონომიურათ, არამედ ის უნდა იყოს გაბატონებული აგრეთვე პოლიტიკურათაც. ყოველი კლასი ითვლება გაბატონებულათ იმდენათ, რამდენათაც ის მომზადებულია პოლიტიკურათ, ვინაიდან მის ხელში პოლიტიკური უფლება ის საშვალებაა, რომლითაც ის სხვა კლასებზე ბატონობს ეკონომიურად. როდესაც დამონებული ერის ბურჟუაზია მიისწრაფვის გახდეს თავის ქვეყნის პოლიტიკური საქმეების ბატონ პატრონი, იმას ამ დროს შეტაკება უხდება გაბატონებულ ერის ბურჟუაზიასთან, ვინაიდან ეს უკანასკნელია სახელმწიფოს ბატონ პატრონი. სწორეთ აქედან წარმოსდგება ინტერესთა წინააღმდეგობა გაბატონებულ და დამონებულ ერთა ბურჟუაზიის შორის. დამონებულ ერის ბურჟუაზია ატყობს რა, რომ მას არ ძალუძს წაართვას გაბატონებული ერის ბურჟუაზიას ძალა, ის ცდილობს თავისი ეროვნული სახელმწიფოს შექმნას, სადაც ის იქნება ბატონ-პატრონი. მისი მუშაობა ამ გზით სწარმოებს: არსდება ეროვნული პარტიები, გამოაქვთ ეროვნული პროგრამა და აფრიალებენ ეროვნულ დროშას. რამდენათ ერი ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ ამ ახალი ცხოვრების გზაზე, იმდენათ ვითარდება და ღრმავდება ეროვნული მოძრაობა, რომელიც დაბოლოს პოლიტიკურ მოძრაობათ ხდება.

როგორც ვხედავთ, ბურჟუაზიის ეროვნული იდეა გამოიხატება გაბატონებულ კლასათ გახდომის მისწრაფებაში. ასეთ კლასათ შეუძლია მას იყოს მხოლოდ საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოში.

ვინაიდან ბურჟუაზიის მისწრაფება გამოიხატება საკუთარი ბაზრის გაფართოვებაში, საკუთარი ვაჭრობა მრეწველობის განვითარებაში, ამიტომ მას ესაჭიროება ძლიერი მთავრობა, რომელსაც შეუძლია საკუთარი სახელმწიფოს საზღვრების გაფართოება და სხვა სახელმწიფოთა ბაზრებზე ბატონობა. აქედან წარმოსდგება მისი მისწრაფება მილიტარიზმისადმი, მარინიზმისადმი და სხ. ბურჟუაზია თავისი სოციალური არსებით აგრესიული ხასიათისაა. ამაში განსხვავება არ არის პატარა და დიდი ერის ბურჟუაზიას შორის. თქვენ მოგეხსენებათ, რომ პატარა ბელგია ისეთსავე პოლიტიკას აწარმოებდა აფრიკაში, როგორსაც დიდი ინგლისი. მათი დამოკიდებულება ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთნაირი აგრესიული იყო. ბურჟუაზია ცდილობს გაბატონებულ კლასათ გახდომას და ვინაიდან სხვის სახელმწიფოში ის ამის შესაძლებლობას ვერ ხედავს, ყოველ ღონეს ხმარობს თავის საკუთარ სახელმწიფოს შესაქმნელათ. იწყება ეროვნული მოძრაობა. ბურჟუაზიის შემდეგ გამოდის არისტოკრატია. რისთვის? როგორც მოგეხსენებათ, ახალი ეკონომიური განვითარება თავად აზნაურთათვის საზარალო მოვლენაა: ის თან და თან ჰკარგავს როგორც ეკონომიურს, ისე პოლიტიკურ უპირატესობებს. როდესაც ერი ეკონომიური განვითარების ახალ გზას ადგება, ეს იმის მომასწავებელია, რომ ძველი წოდების კეთილდღეობას ძირი ეთხრება. ამ შემთხვევაში ეს წოდება მიმართავს სახელმწიფო ძალას იმ იმედით, რომ ის მას დაეხმარება დაკარგულ უფლებათა აღდგენის საქმეში. ჯერ ჯერობით ის მპყრობელი ერის მთავრობის მოწყალებაზე ემყარება, საიდანაც ხშირათ ასეთ „მოწყალებას“ ღებულობს. ქართველი თავად აზნაურობა 100 წლის განმავლობაში მეფის სუფრიდან დაცვენილი ნაფ ნახებით ცხოვრობდა.

მაგრამ ბურჟუაზიული მეურნეობის განვითარებით თანდათან დაეცა თავად-აზნაურული მეურნეობა. აქ თავად-აზნაურობას აღარ ძალუძს მოწყალების სახით მიღებული დახმარებით თავის მდგომარეობის გაუმჯობესება და ფიქრობს სხვა ნაირს თავდასაცავ საშვალების გამონახვაზე. ბურჟუაზიის ეროვნულ იდეიას ის რამდენიმეთ მხარს უჭერს, მაგრამ ამავე დროს ის ასე ფიქრობს: ჩემს ინტერესებს საუკეთესოდ მხოლოდ მაშინ დავიცავ, როცა სახელმწიფო ძალა-უფლება ჩემს ხელში იქნებაო და ასე, ეს წოდებაც საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობს: თავად-აზნაურობამ როგორც მაღალმა წოდებამ, ისტორიაში პირველ ხარისხოვანი როლი შეასრულა—ის გაჟღენთილია და სულდგმულობს ისტორიული ტრადიციებით და მოგონებებით. ახალ ძალა-უფლების მოსაპოვებლად ის წარსულ ბატონობას, ისტორიულ უფლებას ეყრდნობა; ცდილობს ძველი პრივილეგიების ახალ პოლიტიკურ ეკონომიურ პირობებში აღდგენას. მისთვის აუცილებელი საჭიროა ძალა უფლება ახალი ეკონომიური წყობილებისაგან თავის დასაცავათ. ამისთვის ის დაინტერესებულია შეასუსტოს ეკონომიური განვითარება და განამტკიცოს საკუთარი კეთილდღეობა.

ასე რომ, ეროვნული მთავრობა ბურჟუაზიისთვის საჭიროა კაპიტალისტური წარმოების გასაძლიერებლათ, თავად-აზნაურობისთვის კი, პირიქით—ასეთი წარმოების შესასუსტებლათ და ძველი, დრო მოჭმული წეს-წყობილების აღსადგენათ. მიზანი მათ თუმცა სხვადასხვა აქვთ, მაგრამ ეს მათ ოდნავათაც არ უშლის ხელს საერთო ეროვნული მიზნების განსახორციელებლათ შეჰკრან ურთიერთ შორის კავშირი. სულ უკანასკნელად გამოდის ეროვნულ ბრძოლაში პროლეტარიატი. საიდან და როგორ ჩნდება მას ეს ეროვნული იდეა. უნდა ვიცოდეთ, რომ უპირველესად მუშათა კლასი იმ ქვეყნებში ღებულობს ეროვნულ ბრძოლაში მონაწილეობას, სადაც კონსტიტუციონური წესწყობილებაა, სადაც დამყარებულია თავისუფლება და პოლიტიკური ბრძოლისათვის ფართო ასპარეზია გადაშლილი. პოლიტიკური რევოლიუცია პროლეტარული ეროვნულ ბრძოლის წინამორბედია.

რისთვის ხდება ეს ასე? როდესაც სახელმწიფოში საკონსტიტუციო გარანტია არსებობს, როდესაც ყველა კლასს შეუძლია მთავრობას დაუახლოვდეს და ისე დაიცვას თავისი ინტერესები, ამით სარგებლობს მუშათა კლასიც და თავის განმათავისუფლებელ მოძრაობას იწყებს. მუშათა კლასს პოლიტიკური და სოციალისტურ იდეალების განხორციელების საქმეში ერთი დიდი დაბრკოლება ეღობება წინ. მუშა ხედავს, რომ ამ ბრძოლაში მას არ შეუძლია გამოიყენოს ყველა ის ბრძოლის საშუალებები, რომლებიც მისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ ამათში პირველი ალაგი უჭირავს ეროვნულ შკოლას, ენას, სასამართლოს, პოლიციას, ფოსტას და სხვა დაწესებულებებს. ყველა ეს დაწესებულებანი გაბატონებული ერის ენაზე სწარმოებენ, რაც ხალხის უმრავლესობისთვის გაუგებარია; ამიტომ მუშები და გლეხები იძულებული ხდებიან თავიანთი ინტერესების დაცვა ენის მცოდნე პირთ მიანდონ. ამით მისი განმათავისუფლებელი მოძრაობა სუსტდება, ის გრძნობს ეროვნულ შევიწროვებას. ასე, რომ მისი ნაციონალური იდეა ენის საკითხს უკავშირდება. მუშათა კლასის მასსას და გლეხობას ის კარგათ არ შეუძლიათ უცხო ენის შესწავლა, რომ ამ ენაზე მათ შესძლონ თავიანთ უფლებათა დაცვა. ამიტომ ისინი აუცილებელ საჭიროებათ სცნობენ კლასობრივი ბრძოლის წარმოებას საკუთარი ენის საშუალებით. პროლეტარიატის ეროვნული იდეა მშობლიური ენის, ეროვნული კულტურის აუცილებლობიდან გამომდინარეობს. მუშათა კლასის ეროვნული იდეა ერთია, ესაა მიზანი კულტურულათ ამაღლებისა. აქედან გამომდინარეობს პრობლემა, თუ რანაირ პოლიტიკურ პირობებში შეუძლია ამა თუ იმ ერის პროლეტარიატს თავისი კლასიური ბრძოლის წარმოება მშობლიურ ენაზე.

როგორც განვიხილეთ, თანამედროვე საზოგადოების 3 კლასი აწარმოებს ეროვნულ ბრძოლას. ესენია: თავად-აზნაურობა, ბურჟუაზია და პროლეტარიატი. მათ ბრძოლაში სხვადასხვა მიზანი აქვთ დასახული, სხვადასხვა დროშებით გამოდიან. იმ დროს, როდესაც თავად-აზნაურობა და ბურჟუაზია პოლიტიკური ბატონობისაკენ მიისწრაფვიან და აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებენ, პროლეტარიატს მიზნათ აქვს დასახული თავისი ერისთვის შექმნას კულტურული განვითარების პირობებს შესაძლებლობა.—ის კულტურულ მიზანს ემსახურება. პროლეტარიატის სოციალური განთავისუფლება საერთაშორისო საქმეა. რამდენათაც სხვა ერის პროლეტარიატი ჩაყენებული იქნება იმნაირ კულტურულ პირობებში, როგორშიაც ერთი რომელიმე ერის პროლეტარიატი იმყოფება, რამდენათაც მოხერხდება საერთოთ ყველა ერთათვის ერთნაირი ცხოვრების პირობების შექმნა, იმდენათ შესძლებს ესა თუ ის ერი თავისი სოციალური მიზნების განხორციელებას ე. ი. ყველა ქვეყნის და ერთა პროლეტარიატს უნდა ჰქონდეს კლასიური ბრძოლის ისეთი საშუალებები, როგორიც გაბატონებულ ერს აქვს. აქედან გამომდინარეობს ყველა ქვეყნის პროლეტართა

ლობას უთხრას ამ ვაჟბატონებს: „შორს თქვენი ტალახიანი ხელები ამ დიდებულ საქმიდან“. ლუნაჩარსკის წინადადება გადადონ რევოლუციის კრების ყრა საერთო პროტესტს იწვევს. ყრილობა ერთხმათ დებულობს მოწოდებას არ გამოვიდენ ქუჩაში და სამი დღის განმავლობაში არავითარი მანიფესტაცია არ გამართონ. სტროსტინი გაერთიანებულ სოც.-დემოკრატ-ინტერნაციონალისტების, პავლოვი მენშევიკთა სამხედრო ორგანიზაციის, რომანენკო ყრილობის უკრაინის ფრაქციის, მიხაილოვი მენშევიკ დემოკრატ და ინტერნაციონალისტების და აქსენტიევი გლეხთა ყრილობის სახელით უერთდება ამ მოწოდებას.

მოწოდებები.

პეტროგრადი. 10 ივნისს ქალაქში შემდეგი შინაარსის მოწოდებები გამოაკრეს: 1) რადგან ქალაქში მცხოვრებთა ამაღელვებელი ხმები ვრცელდება, დროებითი მთავრობა მოუწოდებს ყველას დაიცვას მშვიდობიანობა, ხოლო უკეთუ ვინმემ წესიერება დაარღვია მის წინააღმდეგ მთავრობა სასტიკ ზომებს იხმარს, 2) მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსაგან: „ამხანაგო მუშებო და ჯარისკაცებო! ბოლშევიკთა პარტია თქვენ ქუჩაში გეძახის. ამგვარ გამოსვლას ამზადებენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, გლეხთა დეპუტატების საბჭოს სრულიად რუსეთის ყრილობის და ყველა სოციალისტურ პარტიების შეუტყობინებლათ. ჩვენ გეუბნებით: ნუ იზამთ იმას, რისთვისაც მოგიწოდებენ. თქვენი გამოსვლით უნდათ ისარგებლონ აქეთ-იქით სოროებში მიმალულმა კონტრ-რევოლიუციონერებმა, რომლებიც გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს როდის დადგება მათთვის სანეტარო წუთი, რომ ჩაახრჩონ რევოლიუცია. ქუჩაში არ უნდა იყოს არც ერთი როტა, არც ერთი პოლკი, არც ერთი ჯგუფი მუშებისა. ასეთი დეზორგანიზატორული გამოსვლა—რევოლიუციის დასამარებაა“.

პოლკების კომიტეტების რეზოლიუცია.

პეტროგრადი. 10 ივნისს მოსალოდნელ მანიფესტაციის გამო ფინლიანდიის და იზმაილოვის პოლკების კომიტეტებმა რეზოლიუცია გამოიტანეს, რომლითაც სასტიკათ წინააღუდგენ ქუჩაში შეიარაღებულ ყოველგვარ გამოსვლას.

წერეთელი ბოლშევიკების შესახებ.

პეტროგრადი. დეპუტატთა საბჭოების საღამოს კრებაზე მინისტრმა წერეთელმა ტროცკის საპასუხოთ სთქვა, რომ ბოლშევიკები ფრონტზე შეტევის წინააღმდეგი არიან, ხოლო მას ძლიერ საჭიროთ სცნობენ შინ და მოუწოდებენ მუშებს გამოვიდენ ქუჩაში და შეუტიონ. რუსეთის რევოლიუციას განადგურება მოელის. ღამის 12 საათზე კრება შესწყდება.

გრიმმის განმარტება.

სტოკჰოლმი. რობერტ გრიმმა გამოაქვეყნა ვრცელი განმარტება, რომლითაც აღნუსხავს მისსა და წერეთელ, აქსელროდსა, სკობელევსა და მარტოვს შორის გამართულ მოლაპარაკებას. ეს მოლაპარაკება დაწყებულა 25 მაისს. გრიმმა განუცხადა აქსელროდს და მარტოვს, რომ მან არაფერი არ იცის გოფმანის დეპეშის შესახებ. 30 მაისს გრიმმა განაცხადა თავის მოსაზრება, რომ გოფმანის დეპეშა ეს იმის ნაყოფია, რომ გერმანიას უნდოდა გრიმის პეტროგრადში ყოფნით ესარგებლნა სეპარატიულ ზავის ჩამოსაგდებათ და თან დაუმატა, რომ უკეთუ ეს მოსაზრება გამართლდა ასეთი მოქმედება პროვოკაციული აქტი არისო. წერეთელი და სკობელევი მოითხოვდენ უფრო გერმანიის მთავრობის მოქმედების სასტიკათ გაკიცხვას აგრეთვე შვეიცარიისას, რადგან მან ამით დაარღვია ნეიტრალიტეტი და გერმანიის ლაქიობა იკისრა. გრიმმა უარი სთქვა მინისტრების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რადგან დეპეშის შინაარსი მან არ იცოდა.

კიევი. საგუბერნიო კომისარმა სუკოვკინმა აცნობა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, რომ უკრაინის ჯარის ყრილობაზე ისეთივე სულიერი განწყობილებაა, როგორიც გლეხთა ყრილობაზე იყო,—სადაც უკრაინისთვის ტერიტორიალური ავტონომიის საჭიროების დადგენილება გამოიტანესო. ამასთანავე კომისარი მიაქცევს დროებით მთავრობის ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ უკრაინის ცენტრალური „რადის“ სურვილთა უარყოფა და სამხედრო მინისტრის დეპეშა უკრაინის სამხედრო ყრილობის წინააღმდეგ, მცხოვრებლებში აღელვებას იწვევს. მიუხედავათ ამისა, არც კიევში და არც კიევის გუბერნიაში წესიერება არ დარღვეულა. რათა მომავალში უკრაინაში მშვიდობიანობა დამყარდეს, საჭიროა დროებით მთავრობამ გაბედული ნაბიჯი გადადგას უკრაინელთა მოთხოვნათა დაკმაყოფილების საქმეში. უკრაინულმა მოძრაობამ დიდი ძალა მოიპოვა, ეს ძალა დღითი დღე მატულობს, ამიტომ წამოყენებულ მოთხოვნათა უარყოფა ზარალს მოიტანს. უკრაინელების დამამშვიდებელი საუკეთესო საშვალებათ აღმასრულებელ კომიტეტს მიაჩნია კიევში საგანგებო თათბირის მოწვევა, რომელშიაც შევლენ მთავრობისა და უკრაინელთა წარმომადგენლები. ამ თათბირმა უნდა შეიმუშაოს უკრაინის ავტონომიის საკითხი დამფუძნებელ კრებაზე წარსადგენათ, სადაც განსაზღვრული იქნება უკრაინის დამოუკიდებლობა სახელმწიფოსთან

სომეხთა პარტიის წარმომადგენელნი დამფუძნებელ კრების საარჩევნო თათბირში.

პეტროგრადი. დამფუძნებელ კრების საარჩევნო თათბირის წევრათ სომეხთა პარტიიდან მიიწვის ათაბეგიანი და ხატისოვი.

დეზერტირებთან შეტაკება სატუსაღოში.

მოსკოვი 9 ივნისს ბუტირსკის სატუსაღოდან სასეირნოთ გამოუშვეს ერთ კამერაში მყოფი დეზერტირები. იგინი ეცენ ზედამხედველებს, წართვეს გასაღებები და სხვა კარებიც გააღეს. გამოუშვეს 600 კაცი და მოითხოვეს განთავისუფლება პატიოსან სიტყვით, რომ თვითონ წავიდოდენ ფრონტზე. ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭომ იქ გაგზავნა სამი თავისი წარმომადგენელი. მათ ვერავითარი გავლენა მოახდინეს დეზერტირებზე, რომლებიც უფრო და უფრო გამხეცდენ. სატუსაღოს ეზოში შეიყვანეს 50 კაზაკი და ქვეითი ჯარი და რაკი რჩევა დარიგებით ვერა გააწყვეს რა უბრძანეს კაზაკებს თოფის კონდახებით შეერეკათ დეზერტირები კამერებში. როგორც კი კაზაკები მიუახლოვდენ დეზერტირები სატუსაღოს კარებს მივარდენ. ეზოში მხოლოდ რამდენიმე კაცი დარჩა. ამ დროს სატუსაღოს სარკმლიდან ვიღამაც ჯარს რევოლვერი ესროლა, პასუხათ ჯარმა თოფები ესროლა. ტუსაღები სარკმლებიდან ისროდენ. მოკლეს ერთი ტუსაღი და დასჭრეს 8. ორ ჯარის კაცს ტყვიით ქუდები გაუხვრიტეს. სატუსაღოში წესიერება აღადგინეს.

ახალი ამბები

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს კრებაზე 10 ივნისს მოისმინეს მოხსენებები, სხვათა შორის, იმის შესახებ, რომ ქალაქში ზოგიერთ ალაგას ჯარისკაცებს თავი რიგიანათ არ უჭირავთ და საჭიროა ზომების მიღებაო. კრებამ საჭიროთ დაინახა შემდეგი ზომების მიღება: მიენდოს აღმასრულებელ კომიტეტს მოაწყოს ჯარისკაცთათვის გონიერი დროს გასატარებელი დაწესებულებანი—როგორიცაა კლუბები, სამკითხველოები და სხვ., სადაც ჯარისკაცებსა და მუშებს თავისუფალ დროს შეეძლებათ დროს გატარება. მიენდოს აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცეს ბრძანება ჯარისადმი, სადაც ჩამოთვლილი უნდა იყოს ყველა ის ღონისძიებანი, რასაც კომიტეტი საჭიროთ დაინახავს ცხოვრების წესიერათ მიმდინარეობისათვის. ასეთ ზომებათ კრებამ მიიჩნია: განხილულ იქნას ტრამვაის ვაგონების განაწილების საკითხი—ნავთლუღისკენ მიმოსვლის გასაძლიერებლათ, მიემატოს ვაგონები, მოეწყოს სარაიონო კლუბები და ყოველ ყაზარმაში—საღამოს კურსები ჯარისკაცთა და მუშებისათვის, ნება დაერთოს სასურსათო კომიტეტს ოქმის შეუდგენლათ დახუროს ღვინით მოვაჭრე სარდაფები, გამოიცეს მოწოდება მცხოვრებთადმი, რომ ღვინით მოვაჭრეთა წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნება მიღებული და სხ.

◆ **პური თფილისში** ამ უკანასკნელ ხანებში საკმაოთ შემოაქვთ ჩრდილო-კავკასიიდან.

◆ **მ. ა. ჯაბარი.** ხანმოკლე ავათ ყოფნის შემდეგ 9 ივნისს თფილისში გარდაიცვალა ქალაქის გამგეობის წევრი მ. ა. ჯაბარი.

◆ **ახალი კომისარები.** კომისარებათ დანიშნეს: საერთო ნაწილისა კავკასიაში ექიმი მახვილაძე, სანიტენდანტის—ი. გ. ქარცივაძე, თფილისის სახელმწიფო ბანკში ნ. ა. თარხანოვი და თფილისის სამხედრო უფროსის სამმართველოში—კაპიტანი ტკაჩენკო.

◆ **სეტყვა კახეთში.** კახეთის ზოგიერთ სოფლებში სეტყვას ვენახი საგრძნობლად დაუზარალებია.

◆ **მიტინგი საბურთალოზე.** 11 ივნისს საბურთალოზე შესდგა მიტინგი. მიტინგზე ილაპარაკა საქალაქო არჩევნების შესახებ ჯერ ქართულად და მერე რუსულად ამხ. ხომერიკმა. ხალხი ბლომათ დაესწრო და ნასიამოვნები დაიშალა.

◆ **ხელოვან მწერალთა საყურადღებოთ.** ოთხშაბათს, 14 ივნისს, გაზ. „ერთობის“ რედაქციის ბინაზე საღამოს 5 საათზე მოხდება ხსენებულ მწერალთა მეორე საერთო კრება. კრებაზე დაესწრებიან ჩვენი თანამოაზრე მწერლები და კრიტიკოსები. ვსთხოვთ ამხანაგებს, როგორც აქაურებს ისე პროვინციელებს, ნუ დაიგვიანებენ. გასარჩევია საყურადღებო კითხვები.

◆ **თ. კიკვაძის ლექცია.** 11 ივნისს, ნაძალადევის სახალხო თეატრში, საქონლის სადგურის მოსამსახურეთა და მუშების კრებაზე ამხ. თ. კიკვაძემ წაიკითხა გაგრძელება თავისი მორიგი ლექციისა თემაზე: „სოც.-დემოკ. პროგრამის ახსნა“.

◆ 11 ივნისს მიხაილოვის საავადმყოფოსთან ტრამვაის ვაგონში ვიპოვეთ 251 მან. პატრონს შეუძლია მოიკითხოს ტრამვაის კონტორაში ნესტორ ჟორდანიასთან.

◆ იოსებ ტარიელის ძე რუხაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მან დაჰკარგა შემდეგი დოკუმენტები: პასპორტი, მეტრიკა და შორაპნის კომიტეტის მიერ მიცემული „პროპუსკი“. მპოვნელს თხოვს გაუგზავნოს შემდეგი მისამართით: დ. სამტრედიაში, მიხეილ ტარიელის ძე რუხაძეს.

ჩვენი თეატრი.

დამაფიქრებელია ჩვენი თეატრის დღევანდელი მდგომარეობა. მისს არსებობას ვერავინ გრძნობს, ის სადღაც შთაინთქა.

თეატრი რევოლიუციონურ ხანაში ყველგან მძლავრ პოლიტიკურ იარაღათ გადაქცეულა. დამოუკიდებელი აზრი, თავისუფალი სიტყვა ზე-აღმტაცი აღმაფრენა—აი რას უფეთქია თეატრში ყველგან ხალხის განთავისუფლების ხანაში. სცენა უდიდეს ტრიბუნათ გადაქცეულა და მონობისგან განთავისუფლებულ ხელოვნებას ძალუმათ გაუშლია საწინამძღოლო დროშა.

საფრანგეთი და შილლერის დროინდელი გერმანია მჭერმეტყველური მაგალითებაა ამის დასამტკიცებლად.

ვინ არ იცის რა დიდი როლი ითამაშა მოსკოვის სამხატვრო თეატრმა რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ჩეხოვის რეპერტუარით მან ცხარე ცრემლებით დაიტირა 80 წლების გულის მომკვლელი არსებობა, პიროვნების მომსპობი [illegible] ყოველდღიურობრივი ცხოვრების მომაკვდინებელი ატმოსფერა. პირველ ხანებში ის მხოლოდ მკრთალათ და ცრემლ მორეულათ ოცნებობდა ჩეხოვის „სამ დასთან“ ერთად იმ ბედნიერ დღეზე, რომელიც მხოლოდ „ასი, ორასის“ წლის შემდეგ განხორციელდებოდა ქვეყანაზე.

მაგრამ გადის ცოტა დრო, საჩქარით იღვიძებს დემოკრატია და სამხატვრო თეატრშიც ამეტყველდენ გორკის გმირები: ბარონი, ლუკა, სატინი. აქუხდა იბსენიც, ალ. ტოლსტოი („მეფე იოანე“).

ეს თეატრი მთელი მოაზროვნე და კეთილშობილურ რუსეთის სულიერ საზრდოთ გადიქცა. აქ დატიროდა თავისს წარსულს „ობივატელი“, აქ იკრიბდა ტიტანურ ძალღონეს რევოლიუციონერი.

ქართულ თეატრსაც ჰქონდა გმირული ხანა, მანაც განიცადა ყმაწვილური აღტაცება, ისიც ეკვეთა ზე-ღმერთს ქვეყნად ცეცხლის ჩამოსატანათ.

ეს იყო პირველ რევოლიუციის წინა წლებში და თვით რევოლიუციის დროსაც.

ვინ ჩვენგანი არ აღუფრთოვანებია შილლერის „ყაჩაღებს“, ვინ არ გაუტაცნია „კალაბრიობის ვეძილის“ მქუხარე ხმას! მოიგონეთ „ექიმი შტოკმანი“, „ფეიქრები“, „მამულ დედული“ და სხვა.

ამ პიესებით ჩვენმა სცენამ უდიდესი სამსახური გაუწია ქართველ დემოკრატიას, რომელიც ხარბათ დაეწაფა თავისუფალ ხელოვნებას და მზათ იყო მთელი ჩვენი თეატრის არსებობა საკუთრივ მას ეკისრა.

მაგრამ... წარვიდენ დღენი ნეტარებისა, საოცნებო ლურჯი ჩიტი შეუმჩნევლად შემოგვაკვდა ხელში და დღეს ვით ტილ-ტილი და მიტილი კვლავ მის საძებრათ უნდა გავემგზავროთ.

დღევანდელი ქართული თეატრი მკვდარია, მან სული განუტევა შავ-ბნელ რეაქციასთან ერთად. მოკვდა იდეიურათ, მოკვდა მატერიალურათ.

დასამარებულ რეაქციის დაწყებისას თითქოს სასიცოცხლო ნიშნები გამოიჩინა: ამხაურდა ქუთაისი, თფილისი. დემოკრატიაც პირველ ხანებში ენდო ჩვენი რეჟისორების ფახი-ფუხსა და დაპირებებს, ერთგულათ მოაწყდა თეატრს, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ იგი მოტყუებული იყო. მას ვერ მიაწოდეს შესაფერი საზრდო, ვერ დააკმაყოფილეს მისი სულიერი მოთხოვნილებანი.

დროებით დამარცხებული დემოკრატია ჩვენს თეატრში საკუთარ სულის კვეთების ნახვას ელოდა, მაგრამ მწარეთ მოსტყუვდა.

მან ვერ ნახა იქ ხელოვნებისადმი უსაზღვრო სამსახურით გატაცებული მესხიშვილი, ვერ იხილა ახალი შტოკმანი. და ზურგი აქცია ქართულ თეატრს.

მართალია მან შეიყვარა ორიოდე პიესა, მაგრამ ეს ხომ წვეთი იყო ზღვაში.

ინტერესების ერთიანობა. აი, ამ მკვიდრ საფუძველზეა აშენებული პროლეტარიატის ინტერნაციონალიზმი. მშობლიური ენის საკითხში გლეხის ინტერესები პროლეტარიატისას ეთანხმება. გლეხი პროლეტარიატზე უფრო საჭიროებს მშობლიურ ენაზე ბრძოლას წარმოებაში; გლეხი მოითხოვს, რომ მშობლიური ენა ბატონობდეს სკოლაში, სასამართლოში, ფოსტაში და სხვა დაწესებულებებში. როდესაც პროლეტარიატი და გლეხობა გამოდიან საბრძოლველათ ამ ასპარეზზე, მაშინ მოძრაობა დებულობს მასიურ ხასიათს და ეროვნული საკითხი ყველა პარტიებისთვის დღის წესრიგში ისმება.

როგორ სწყვეტენ ამ საკითხს? გადაწყვეტა ამ საკითხისა შეიძლება იყოს სამნაირი: ლიბერალური, დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული. ლიბერალურათ ის გადაწყდა ავსტრიაში 1867 წელს. ძირითადი კანონების მე-19 მუხლში ნათქვამია: ავსტრიაში მცხოვრები ერები ყველა თანასწორ-უფლებიანია, ეროვნული ენა თავისუფალია; ხსენებული კანონის ავტორს ალბათ, ეგონა, რომ ასეთი დეკლარაცია ერთა განვითარებას ხელს შეუწყობდა და მათ შორის ბრძოლას მოსპობდა, მაგრამ მას შემდეგ 40 წელი გავიდა და ბრძოლა არა თუ მოისპო, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდა—გამწვავდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ სახელმწიფო ძალა უფლება გაბატონებული ერის ხელშია ე. ი. ბურჟუაზიის ხელში, რომელიც საკუთარ ინტერესებს უკარნახებს პატარა ერებს. ამ მიზნისთვის ის ყოველგვარ საშვალებებს მიმართავს. ამიტომ არავითარი მუხლი, კანონში შეტანილი, საქმეს არ შველის, ეროვნულ შუღლს ვერ მოსპობს, სანამ ძალა უფლება ერთი რომელიმე ერის ხელშია. ლიბერალურათ საკითხის გადაწყვეტა ნიშნავს ბევრის თქმას და არაფრის არ გაკეთებას.

დემოკრატებს ჰგონიათ, რომ დემოკრატიულ წყობილებაში თავის თავად გადაწყდება ეროვნული საკითხი. ასეთი აზრი გავრცელებულია ამ ჟამათ, როცა საერთო მოთხოვნილებათა წამოყენებამ სულ ერთიანად დაჩრდილა კერძო ხასიათის მოთხოვნანი, მაგრამ ასეთი აზრი მიმარცხენე პარტიების პროგრამებს რაღაც არ შეესაბამება. ზემოთ მოყვანილი აზრი რომ სწორი იყოს, ეს პარტიები საერთო დემოკრატიული ხასიათის მოთხოვნებთან ერთად არ წამოაყენებდენ ეროვნული ხასიათის მოთხოვნებს. თავის თავად ცხადია, რომ ეროვნული საკითხის გადაჭრა შეუძლებელია გარეშე დემოკრატიული წყობილებისა. მაგრამ დემოკრატიული წყობილება ჰქმნის ისეთ პირობებს, როცა შესაძლებელი ხდება ამ საკითხის გადაჭრა, თითონ ეს წყობილება კი სრულებითაც არ სწყვეტს ამ საკითხს.

კითხვა იბადება: რატომ? იმიტომ, რომ დემოკრატიულ წყობილებაში შეძლებული კლასი ბატონობს, რომელსაც თავისი ეროვნული პრინციპი აქვს. ეს პრინციპია—ეროვნული უმცირესობის დამორჩილება, როცა ამისთვის ეს შესაფერ შემთხვევას ჰპოულობს. ასეთ შემთხვევებს კი ადგილი აქვს იქ, სადაც ეროვნული უმცირესობა უმრავლესობის გადაწყვეტილებას უნდა დაემორჩილოს. ამიტომ მართალი არიან ის სოციალისტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ეროვნული საკითხის გადაჭრა მოითხოვს განსაკუთრებულ პოლიტიკურ ნორმებს, რაიც უნდა განსხვავდებოდეს საერთო დემოკრატიულ ნორმებისაგან.

მე ვსთქვი, რომ ბურჟუაზია და, რამდენიმეთ, თავად-აზნაურობა მიისწრაფიან თავიანთი საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს შესაქმნელად. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს თითქოს ისინი ამ დებულებას ყოველთვის მხარს უჭერდენ. თუ სახელმწიფოსაგან ერის გამოყოფის პირობები ხელს უწყობენ, ისინი ასეთ მოთხოვნას აყენებენ, თუ არა და—სხვა ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელ მოთხოვნებს ესარჩლებიან. ვინაიდან ისინი ძლიერი ეროვნულ სახელმწიფოებრივ მთავრობის შექმნას ეტრფიან და ამით მათ სურთ თავიანთ ეროვნული ტერიტორიის ფარგლებში გაბატონებულ კლასათ გახდომა, მათი ეროვნული მოთხოვნა ასეთია: ან დამოუკიდებელი სახელმწიფო, ან ავტონომიური. ყველა ჯურის ნაციონალისტები სწორეთ ასეთ ავტონომიას მოითხოვენ.

პროლეტარიატის ეროვნული ინტერესია არა ძლიერი მთავრობის შექმნა, არამედ კულტურული განვითარება. უკეთუ სუსტი ეროვნული მთავრობის ხელში კულტურული განვითარებისთვის ხელ-საყრელი პირობები იქნება შექმნილი, პროლეტარიატის ეროვნული მოთხოვნები სავსებით დაკმაყოფილდება. აქედან წარმოსდგება პროლეტარიატის შეხედულება ეროვნულ ორგანოთა კომპეტენციაზე. ამიტომაა სოციალ-დემოკრატიული პარტია უმთავრეს ყურადღებას აქცევს კულტურული პირობების შექმნას და არა ძლიერი მთავრობის საჭიროებას. აქედან წარმოსდგება განსხვავება კომპეტენციის საკითხში, რომელსაც ეს ორი კლასი მართვა-გამგეობის საქმეში აყენებენ. ჩემის აზრით, ერის კულტურულათ განვითარების, მისი ეროვნული კულტურის შესაქმნელ საუკეთესო პირობათ ჩაითვლება სრული თვითმართველობა, რომელიც უნდა მიენიჭოს ყოველ ერს. თუ შესაძლებელი იქნება თითოეული ერისთვის შევქმნით საკუთარი ეროვნული სკოლა ეროვნული სასამართლო და ყველა ის დაწესებულებანი, სადაც მას საშვალება ექნება თავისი საქმეები მშობლიურ ენაზე აწარმოვოს და განათლებაც ამავე ენაზე მიიღოს, თუ შევქმნით ისეთ პირობებს, როდესაც ერს საშვალება ექნება კლასიური ბრძოლა ცხოვრების ყველა დარგში მშობლიურ ენაზე აწარმოვოს, ამით ერთი მთავარი საკითხი მუშათა კლასისთვის გადაწყვეტილი იქნებოდა. ახლა ეს ჩვენი საერთო მოსაზრებანი შევუფარდოთ ადგილობრივ ცხოვრებას. თუ ამიერ კავკასიის ყოფა-ცხოვრებას გადავხედავთ, შევამჩნევთ შემდეგს: აქ სამი მთავარი ერი ცხოვრობს: თათრები, ქართველები და სომხები. ეროვნული მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მათთვის შევქმნათ ისეთი პოლიტიკური პირობები, რომელშიაც იწარმოებს მათი კულტურული განვითარება თანასწორ უფლებრივ ნიადაგზე. ურთი ერთ შორის დამოკიდებულების მოწესრიგება მოითხოვს შევქმნათ ქართველებისთვის ქართული ტერიტორია, თათრებისთვის—თათრული და სომხებისთვის—სომხური. უკეთუ ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ რამდენიმე ერს ჩვენ თვითმართველობას მივანიჭებთ, ეს არ იქნება ეროვნული საკითხის სისწორით გადაჭრა, ვინაიდან ის ხელში ჩაუვარდებოდა ერთ ერს, რომელიც უმრავლესობას შეადგენს და დასჩაგრავდა უმცირესობას. საკითხის ასე გადაწყვეტა კიდევ გაამწვავებდა მას და გააძლიერებდა ეროვნულ ბრძოლას.

თუ ჩვენ გვსურს გვქონდეს ეროვნული სკოლა, სასამართლო, ფოსტა და სხ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გვქონდეს საკუთარი მართვა-გამგეობა ეროვნულ ტერიტორიაზე. თუ შევსძლებთ შევქმნათ ისეთი პირობები ერთ რომელიმე ტერიტორიაზე, როცა ამა თუ იმ ერის კულტურული განვითარება უზრუნველყოფილი იქნება, ამით ჩვენ ეროვნულ საკითხს გადავწყვეტდით მუშათა და გლეხთა თვალსაზრისით. ასეთნაირათ საკითხის გადაწყვეტა ვერ დააკმაყოფილებდა მხოლოდ ბურჟუაზიას და არისტოკრატიას.

მაშასადამე, ამიერ კავკასიაში უნდა დაარსდეს სამი ეროვნული თვითმართველობა: ქართველების, სომხების და თათრების. თითოეულ ამ თვითმართველობის საზღვრებში ერთი რომელიმე ერის უმრავლესობა უნდა სცხოვრობდეს. არის ისეთი ოლქები, სადაც სხვადასხვა ერები სცხოვრობენ. ასეთ ადგილებში უნდა შევქმნათ შერეული თვითმართველობა, მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა მოსახლე ერის წარმომადგენლებმა. ჩვენ ვსთქვით, რომ უნდა სახეში მიღებულ იქნას ერის კულტურული მოთხოვნილებანი. ამიტომ ამ ადგილებში უნდა შევქმნათ ეროვნული კულტურული კავშირები, რათა ამ კავშირებმა ერთა კულტურული მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს. ამით ოლქში მცხოვრებ ერთი ერის უმრავლესობას საშუალება მოესპობა უმცირესობის კულტურულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას ხელი შეუშალოს. ასეთ შერეულ ოლქებში, ჩემის აზრით, უმცირესობას უნდა მიეცეს საშუალება, რომ მან კულტურული მოთხოვნილებანი დამოუკიდებლათ დაიკმაყოფილოს.

ამ სახით ამიერ კავკასიაში შეიძლება ორგვარი თვითმართველობის დაარსება:

1) ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმართველობა

2) შერეული თვითმართველობა თითოეული ერისათვის კულტურული ავტონომიის მოწყობით.

პროლეტარიატი იმაშია დაინტერესებული, რომ ყოველი ერის კულტურული განვითარება მიმდინარეობდეს მშობლიური ენის საშვალებით. ამ უმთავრეს მიზანს ის უკავშირებს ყოველგვარ ეროვნულ მოთხოვნებს.

რუსეთში ბევრი პარტია აყენებს ფედერატიული რესპუბლიკის მოთხოვნას. ფედერაცია (კავშირი) გულისხმობს ისეთ წყობილებას, ისეთ კავშირს სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილთა შორის, რომელსაც ხშირათ ისტორიული პირობები უკარნახებენ. ჩვენ ვიცით ამერიკის, შვეიცარიის, ავსტრალიის და სხვ. ფედერაციები. ეს ფედერაციები ასე მოეწყვენ: არსებობდენ მთელი რიგი ერთგვარი დამოუკიდებელი პატარა სახელმწიფოები, შტატები, რომლებიც დამოუკიდებლად ვითარდებოდენ, შემდეგ დაიბადა საჭიროება მათი შეერთებისა ერთ ფედერაციაში. ეს ცენტრალიზმისადმი მისწრაფებაა. რუსეთში არაფერი ამის მსგავსი არ არის. რუსეთი ერთი სახელმწიფოა, რის უდიდესი ნაწილი ეკუთვნის რუსებს. მაშასადამე, შემაერთებელ ერთეულების თანასწორობა არ არსებობს. 2—3 გუბერნიას არ შეუძლია თავისი სურვილი უკარნახოს მთელი დედამიწის მეექვსედ ნაწილს! ჩვენში ისეთი პირობები არ მოიპოვებიან, რა პირობებშიაც არსებული ფედერაციები გაჩნდენ. ამიტომ არავითარი საბუთი არ გვაქვს ფედერაციის წამოსაყენებლათ ე. ი. არ შეგვიძლია რუსეთის სახელმწიფო ისეთ ვიწრო ჩარჩოებში მოვაქციოთ, როგორშიაც ავსტრალია და შვეიცარია იმყოფებიან. ფედერატიული წყობილება ჩვენში ნიშნავს მთელი რიგი სახელმწიფოების შექმნას. უნდა შეიქნეს ქართული, სომხური, თათრული, რუსული და სხ. სახელმწიფონი და შემდეგ მოხდეს მათი ფედერატიულ ნიადაგზე შეკავშირება. ერთი სიტყვით, ჩვენში უნდა მოხდეს პირუკულმა ის, რაც არსებული ფედერაციების შედგენის დროს სხვა ქვეყნებში პირდაპირ მოხდა.

რუსეთში მხოლოდ ერთად ერთი სახის ეროვნული მოწყობაა შესაძლებელი. ერთი რესპუბლიკის ფარგლებში უნდა შეიქმნას მთელი რიგი თვითმართველ ეროვნულ ოლქებისა, სადაც ადგილობრივი ხასიათის კანონებს თითონ ეს თვითმართველობა გამოსცემს, საერთო ხასიათისას კი—ცენტრი.

თქვენ, ალბათ, შემეკითხებით: რა კომპეტენციით ანუ უფლებით უნდა იყოს აღჭურვილი ეს ეროვნული თვითმართველობანი? ეს უფლებები შემდეგია:

1) ცენტრში გამოცემული ყველა კანონების ცხოვრებაში გატარება;

2) ყოველგვარი ადგილობრივი საკულტურო საქმეები, ზრუნვა სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის, ვაჭრობის, მრეწველობის, ადგილობრივი სასამართლოს და ადმინისტრაციის საქმეები, ადგილობრივ თვითმართველობათა განკარგულებაში მყოფი მამულების მართვა გამგეობა. ასეთი მამულები იქნება ჩამორთმეული საუფლისწულო, სახელმწიფო, სამონასტრო და საკაბინეტო მიწები, მუნიციპალური წარმოების მართვა-გამგეობა, რომელსაც სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვს, გადასახადების გაწერ-დაკრეფა ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ, კანონის გამოცემის საქმეში ინიციატივის უფლება, რომელსაც საერთო ხასიათი ექნება; ადგილობრივი ხასიათის კანონების გამოცემა და სხ. ერთი სიტყვით, ადგილობრივი ხასიათის კანონებს აქვე სცემენ, ცენტრში გამოცემული კანონები კი უნდა გადმოეცეს ადგილობრივ თვითმართველობას ცხოვრებაში გასატარებლათ.

ვათავებ რა მოხსენებას, უნდა დავსძინო, რომ ეროვნულ საკითხს ჩვენ არ ვაყენებთ პირველ რიგში, ვინაიდან საერთო მოთხოვნაზეა დამოკიდებული მისი ასე თუ ისე გადაჭრა, მაგრამ ეროვნული საკითხის გადასაჭრელადაც მზათ უნდა ვიყოთ, როცა ამისი დრო დადგება. დამფუძნებელ კრებას ჩვენი გამომუშავებული აზრი უნდა წარუდგინოთ.

ჩვენი სცენის მეთაურობა ისევ ძველი ძალების ხელში იყო, აგერ-ეგერ ჩანდენ ახლებიც, ესენი ვერ გამოდგენ დემოკრატიის იდეის მთელის თავის არსებით მატარებელნი და ნელ-ნელა ჩაითრიეს ძველებმა, რომელთაც არ შეეძლოთ თანამედროვე ცხოვრების ალღოს აღება; თანდათან განიდევნა ჩვენი სცენიდან დემოკრატიის გულის ზრახვებით სავსე პიესები და თეატრმაც სული განუტევა: ბოლო წლების მისი არსებობა სასიკვდილო აგონიაა და სხვა არაფერი, ხალხი მას ჩამოშორდა.

ეს რომ არ იყოს თავისუფლების დამყარების შემდეგ ჩვენი თეატრი კვლავ აქუხდებოდა, ვით პირველი რევოლიუციისას, კვლავ მოვისმენდით ზეაღმტაც თავისუფალ ხელოვნების მომჯადოვებელ ჰიმნებს.

ქართული სცენა მოკვდა მატერიალურადაც: მას არ მოეძევა, ან თითქმის არ მოეძევა ხელოვნების იდეით გატაცებული არტისტი, რეჟისორი. ახალი ძალა არ ემატება, ძველთა შორის კი ბევრ შემთხვევაში ან კარიერისტებს ვხედავთ და ან კიდევ უსაზღვრო ინტრიგანებს, რომელთა წყალობით ერთიანად მოიშხამა ჩვენი მელპომენა. არტისტებმა შეჭამეს ერთმანეთი, რეჟისორებმა დახრეს ერთი მეორე და დღეს, ამ ბედნიერ წამს ხელოვნებისადმი ყოველგვარ რწმენა-დაკარგული, სადღაც მიიჩქმალა.

თფილისელ არტისტთა ერთ ჯგუფს განზრახვა აქვს პროვინციაში წავიდეს სამოგზაუროთ, მაგრამ... იცით რა უშლის ხელს? ქალი ვერ უშოვიათ.

ჩვენი თეატრი დღეს იმ მდგომარეობაშია, როგორშიაც იყო გ. ერისთავის დროს. ახალი ქალები არ ეკარებიან, იმიტომ რომ ჩვენი სცენა დაცემულია ზნეობრივათ, მან დაჰკარგა მიმზიდველობა, ჩაეფერფლა შარავანდედი.

მაგრამ ეს სიკვდილი იქნებ სასიხარულოთაც დაგვირჩეს—ძველი ატმოსფერა მოგვშორდება, ძველი ტიპის არტისტობა აღმოიფხვრება და მათ საფლავებზე დროშას გაშლიან ახალი, დროის შესაფერი ძალები.

უამისობა შეუძლებელია: ქართველი ერი სცოცხლობს, ქართველი დემოკრატია საკაცობრიო იდეალებისთვის იბრძვის. ამიტომ ის შესაფერ თეატრსაც გაიჩენს.

მოკვდა ქართული თეატრი, გაუმარჯოს ქართულ თეატრს! ვარლ. ხუროძე.

ნუ დავაყოვნებთ.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ძირიან ფესვიანათ შესცვალა მთელი ერის კულტურულ-ეკონომიურ-პოლიტიკური ცხოვრების პირობები. არქივს ჩააბარა ძველი, დახავსებული მმართველობა და მისი თაყვანის მცემლები.

დღეს ყველასათვის ფართოდ და მკაფიოდ იშლება კითხვები ერთა თვითგამორკვევის შესახებ და სხვ.

არც ერთი ერი რუსეთში მოსახლე, არც ერთი დარგი ჩვენი ეკონომიურ-კულტურულ ცხოვრებისა არ დარჩენილა, რომ დღევანდელ დიდ განმანთავისუფლებელ რევოლიუციას თავის ცხოველმყოფელი სული არ შთაებეროს და განახლების გზაზე არ დაეყენებინოს.

განახლება—რეორგანიზაციას ითხოვს დღეს ყველა დაწესებულებანი, განსაკუთრებით კი სკოლა. სკოლა თვითმპყრობელ მთავრობის ბრმა იარაღი იყო წარსულში. ახალმა ცხოვრებამ სკოლის რეორგანიზაციის საკითხიც წამოაყენა. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ სკოლის ნაციონალიზაცია უნდა მოხდეს.

საჭიროა მხოლოდ მუშაობა ამ ნიადაგზე. პირველ ენკენისთვიდან ნაციონალიზაცია უნდა გატარდეს განსაკუთრებით პირველ დაწყებითი სასწავლებელში. აქედან საფუძველი უნდა ჩაეყაროს ჩვენ ახალ სკოლას. დღეიდანვე უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ სკოლის განახლების საქმეს ხელი არ შეეშალოს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ საქმის დაყოვნება საზარალო იქნება ჩვენთვის და ამიტომ იმედი გვაქვს მასწავლებელთა კავშირი და კერძო პირები ეხლავე შეუდგებიან მუშაობას; შეუდგებიან სახელმძღვანელოების შედგენას და სხვა

სტ. ნიკოლაიშვილი.

შავი კაბინეთი თფილისის ფოსტაში.

რუსეთში შავი კაბინეთების არსებობას თავისი ისტორია აქვს. პირველად შავი კაბინეთი აღმოაჩინეს ვარშავაში და ვილნაში პოლონელების ამბოხების დროს 1863 წელს. ეს კაბინეთები ისეთი ტიპის იყო, როგორც საფრანგეთში და ინგლისში არსებული კაბინეთები. თითქმის ერთსა და იმავე დროს ვარშავის და ვილნის შავი კაბინეთების დაარსებისას ასეთივე კაბინეთები დაარსეს პეტროგრადში და მოსკოვში, შემდეგ დაახლოვებით 80 წლებში,—ხარკოვში, კიევში და ცოტა გვიან ოდესსაში, ყაზანში, თფილისში და სხვა დიდ ქალაქებში. ამ კაბინეთების დაარსების მიზანი იყო თითქოს საზღვარ გარეთიდან მოსულ გაზეთების ცენზურა, მაგრამ სამწუხაროთ აგრე არ ხდებოდა. მოხელეები რომლებიც შავ კაბინეთში იყვნენ მოკალათებულნი უმთავრესათ წერილებს ჰკითხულობდენ, გადაიკითხავდენ თუ არა შემჩნეულ წერილებს მოხელეები, მაშინვე დამცველ პოლიციის განყოფილებას ატყობინებდენ თუ რამ საყურადღებო იყო. დამცველი პოლიცია არც პროვოკატორები და არც სხვა იმდენ ზიანს არ აყენებდენ განმათავისუფლებელ მოძრაობას და მის ხელმძღვანელებს როგორც შავი კაბინეთის მოხელეები. ამ შავ კაბინეთებს კონტროლს უწევდა პეტროგრადი. სათავეში უდგა ჯერ ბ. ვეისმანი. მერე ბ. ფომინი და ამ ბოლო დროს ბ. მარდარევი. მოხელეებათ, რასაკვირველია ისეთ პირებს ნიშნავდენ, რომელნიც გამოცდილებით და ერთგულობით ყურადღებას იპყრობდენ, ჯამაგირი ჩვეულებრივ მოხელეებზე გაცილებით მეტი ჰქონდათ.

ასეთივე შავი კაბინეთი არსებობდა თფილისის ფოსტაშიც, რომელსაც ბოლო მოუღო დიდმა რევოლიუციამ. ამ კაბინეთს სათავეში ედგა ბ. კარბინსკი, ფოსტის უფროსი და ფოსტის ხუთი მოხელე, რომლებიც გაფაციცებით არჩევდნენ ფოსტაში მოსულ წერილებს საეჭვო პირებისას. და ასობით მომზადებული წერილები მოჰქონდათ ბ. კარპინსკის ბინაზე. კარპინსკიც რამდენიმე დღის შემდეგ უკან აბრუნებდა გადაკითხულ წერილებს და ისე უბრუნებდა პატრონს. ბევრი წერილები, რასაკვირველია სამუდამოთ რჩებოდა შავ კაბინეთში.

გარდა ამ შავ კაბინეთისა წერილები იგზავნებოდა იმავე მოხელეების მიერ კიდევ ბასოვის (სასახლის დაცვის უფროსი) კაბინეთში. ნამეტნავათ ყველა რედაქციების. ყველაზე ბევრი „თანამედროვე აზრის“, აგრეთვე „სახ. ფურც.“, „საქართ.“, „მშაკის“, „ჰორიზონის“, „ზაკავ. რეჩის“ და სხვ. და აგრეთვე ამ გაზეთების თანამშრომლების.

იგზავნებოდა ამ კაბინეთში აგრეთვე მაღალწოდების პირების და უფრო დემოკრატიის ნაწილის, რომლებისაც უკვე სია ჰქონდათ და თანახმათ ამ სიისა არჩევდენ წერილებს.

აი, სწორეთ ეს ვაჟბატონები თავიანთი მუშაობით შავი კაბინეთისთვის აფერხებდენ თავისუფლების მოპოვებას და გვაცლიდენ იმ საუკეთესო პირებს ხელიდან, რომლებსაც თავისუფლებისთვის ჰქონდათ თავი გადადებული.

ეს ვაჟბატონები უკვე გადაცემულნი არიან ქალაქის გამომძიებელ კომისიაში და იმედია ეს კომისია ღირსეულათ დააფასებს მათ შავრაზმულ მოღვაწეობას და ღირსეულად დასჯის.

[illegible]კრატი.

სოციალდემოკრატიულ პარტიაში

თელავი.

5 ამ თვეს მოხდა ს.-დ. დიდი კრება. ამხ. სოსო მაჭავარიანმა გააცნო კრებას მუშათა და გლეხთა დელეგატების ყრილობის ნამუშევარი. ილაპარაკა მეორე დელეგატმაც გიო ლაზარაშვილმა. შემდეგ განიხილეს ზოგიერთი კითხვები. სხვათა შორის რაიონულ მუშაობის შესახებ, როგორც ქ. თელავში ისე სოფლებში. გამოირკვა, რომ მუშაობა ყველგან არის. ბოლოს კრება შეეხო მომავალ ქალაქის არჩევნებს, ამხ. თამარა ხირსელმა კრებას ამ საკითხის შესახებ მოხსენება წაუკითხა. ის შეეხო ქალების უფლებას ამ არჩევნებში და სხვა. ილაპარაკა ქალაქის მოურავმა ლევან ვახვახიშვილმა.

დაბოლოს მოხდა არჩევნები პარტიულ კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატებისა. აირჩიეს სამი დელეგატი: ლუკა კომოთაძე. ამხ. ტიგრან კირაკოზოვი და თამარა ხირსელი.

თფილისი.

9 ივნისს, მეოთხე ს. დ. კოლექტივის კლუბში შესდგა ამავე რაიონის პარტიის წევრთა კრება. დროებითი კოლექტივის თავმჯდომარე ამხ. ბერიტაშვილი ხსნის რა კრებას, მოახსენებს, რომ საჭიროა საოლქო პარტიულ ყრილობაზე დელეგატების არჩევა, და აგრეთვე მუდმივი ხელმძღვანელი კოლექტივის მეოთხე რაიონისათვის, ვინაიდგან ეხლანდელი კოლექტივი, არჩეული დამფუძნებელ კრებაზე ორის თვის წინათ, 200 წევრისაგან, არ შეიძლება იყოს სრული წარმომადგენელი ამხანაგების, რომლის რიცხვი დღეს ათასს უდრის.

ირჩევენ პრეზიდიუმს: თავმჯდომარე თ. კიკვაძე, თავჯ. ამხანაგები: ლ. ასათიანი, ამხ. პეტროსოვი, მდივანი ემ. ლომთათიძე.

კრება თავდაპირველათ ირჩევს დელეგატებს საოლქო ყრილობაზე. ფარული კენჭის ყრით არჩეულათ ცხადდება: რ. ჩიხლაძე, არშ. ზურაბოვი, ლ. ბერიტაშვილი, მ. კრასოვსკი და ამხ. ოგანეზოვი.

კრება მსჯელობს კოლექტივის არჩევნებზე. მოისმინა რა მოკლეთ მოხსენება თავმჯდომარის დროებითი კოლექტივის მისი ორი თვის მოღვაწეობის შესახებ. ამხ. ნოე ხომერიკი წინადადებას იძლევა არჩევნები გადასდონ კიდევ რამოდენიმე დღით, ვინაიდგან ახალ ორგანიზაციაში, რომელმაც უნდა აწარმოოს მთელი რიგი პასუხისმგებელ პარტიული საქმეები, უნდა მოხვდნენ სამხედრო პირები—ამხ ჯარისკაცები და აფიცრები, დღეს კი ისინი კრებაზე ძალიან ცოტა რიცხვი არიან.

კრება ღებულობს ამას მხედველობაში და აგრეთვე დროს სიგვიანეს, ადგენს მომავალი კრება მოწვეულ იქნას პარასკევს 16 ივნისს.

თფილისი.

8 ივნისს, ნაძალადევის თეატრში შესდგა რკინის გზის სახელოსნოთა და დეპოს მოწინავე მუშების კრება. კრებამ მსჯელობა იქონია „ბოლშევიკების“ პარტიიდან გასვლის შესახებ და ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „დეპოს და სახელოსნოს მოწინავე მუშებმა მოვისმინეთ რა მოხსენება „ბოლშევიკების“ ადგილობრივი ორგანიზაციიდან გასვლის შესახებ, ჩვენ სამწუხარო და თან რევოლიუციისათვის საზიანო ნაბიჯათ მიგვაჩნია მათი ასეთი განცალკევებულათ მოქმედება, ვინაიდგან რეაქციონერების თავდასხმისაგან რევოლიუცია ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი. ამას გარდა, ამ ჟამათ თფილისის მუშებს საქალაქო არჩევნები უდგას წინ, როდესაც სოც.-დემ. პარტიას ბრძოლა მოუხდება ბურჟუაზიულ პარტიებთან. კრების აზრით, რა ნაირ უთანხმოებასაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი, მაინც შესაძლებელია ერთად მუშაობა, ამიტომ „ბოლშევიკებს“ არავითარი საბუთი არ ჰქონდათ რასკოლის მოხდენისა. კრება მოუწოდებს „ბოლშევიკებს“ ფრაქციულ ინტერესებზე მაღლა პარტიის ინტერესები დააყენონ და დაუბრუნდნენ პარტიას,—ამასთანავე კრება მოითხოვს ყველა ამხანაგებისაგან ჩვენი პარტიის გასაძლიერებლათ მოღვაწეობას, რომ საქალაქო არჩევნებში შესაფერი პასუხი გასცეს სოც.-დემ. პარტიამ ბურჟუაზიულ და ნაციონალისტურ პარტიებს“.

მუშათა ცხოვრება.

თფილისის რკინის გზის მთავარი სახელოსნო. ბ-ნ ტრიმბიცკის (მთავარ სახელოსნოს ბუჰგალტერი) საქმენი საგმირონი უკვე კაი ხანია აღნიშნული იყო ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. მას ბრალს სდებენ მექრთამეობასა და სხვა ამგვარ არასაკადრის საქციელში. ამ წერილის გამო ტრიმბიცკიმ ერთი აურზაური ასტეხა მაშინ, თავხედურათ მიიჭრა „თანამედროვე აზრის“ რედაქციაში და მოითხოვა ეთქვათ ვინ იყო წერილის ავტორი, მაგრამ როცა იქ ცივი უარი მიიღო, მიმართა ნაცად ჩვეულებას—ჟანდარმებთან დაბეზღებას. ამ დაბეზღებას შედეგათ ის მოჰყვა, რომ ვიზედაც ეჭვი ჰქონდა ტრიმბიცკის დაატუსაღეს. ამგვარათ ტრიმბიცკიმ ვერც ერთი მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება ვერ გააბათილა, თუმცა ამისთვის არ დაუზოგავს არავითარი საშუალება. „კუზიანს სამარე გაასწორებსო“ ნათქვამია, მაგრამ ეს ანდაზა ტრიმბიცკიზე არ გამართლდა, რევოლიუციამ მის საგმირო საქმეებს სამარე გაუთხარა, მაგრამ თვით ტრიმბიცკი კი ვერ გაასწორა, ის ისეთივე მახინჯი და კუზიანი დარჩა, როგორც იყო წინაც. 5 ივლისს საზოგადო კრებაზე როცა შეხედა, რომ კრება ერთსულოვანი იყო, მოინდომა უთანხმოების ჩამოგდება. რაკი ეს არ გაუვიდა კრების გათავებისას განაცხადა—კრება უკანონოაო. თავმჯდომარე ლემანმა უპასუხა, კრებამ წამოყენებული საკითხები უკვე გადასწყვიტა და უნდა დავხუროთო, რომ ამითაც ვერას გახდა ტრიმბიცკიმ დემონსტრატიულად დასტოვა კრება და მას კუდში გაჰყვენ ზოგიერთი მისი დამქაშები. ამ ინციდენტის გამო თავმჯდომარემ კრება ისევ გახსნა და ტრიმბიცკის შესახებ დადგენილება გამოიტანა. რადგან მისი პროვოკატორული მოქმედება აშკარათ დამტკიცდა—დათხოვნილ იქნას სამსახურიდან.

ვერმიშანაძე.

დ. ბორჯომი. 3 ივნისს მოხდა აქაურ ხელზე მოსამსახურეთა და მზარეულთა საზოგადო კრება. ამხ. ვ. გიორგაძემ გააკეთა მოხსენება თფ. კავშირის შესახებ და მოუწოდა დამსწრეთ შეერთებოდენ კავშირს. კრებამ იქონია ამის შესახებ მსჯელობა და ერთ ხმათ მიიღო ეს წინადადება. შემდეგ აირჩიეს 5 კაცისაგან შემდგარი ხელმძღვანელი ბიურო. ამ ბიუროში შევიდენ: თედო სვანი, ვ. გიორგაძე, ვარლამ ბიბილაშვილი, თოფურია და ჯალალონია. უნდა აღვნიშნო, რომ ეს პირველი კრება არის აქაურ ხელზე მოსამსახურეთა. ამ კრებას ყველანი დაესწრენ. ხაჩინოლი.

რევოლიუცია პროვინციაში·

ს. ზემო აკეთი. 3 აპრილს მოხდა ამ სოფლის კრება, რომელსაც ხალხი ბლომათ დაესწრო. კრებამ აირჩია თავმჯდომარეთ რ. ხუხუნაიშვილი, მდივნათ ი. ფიფიაიშვილი. კრებამ იქონია მსჯელობა და დაადგინა იქნას არჩეული კომისია 8 კაცისაგან შემდგარი. აირჩიეს ილიკო ქნთარია, [illegible] ფიფიაიშვილი, ილარ. ხუხუნაიშვილი, [illegible] ხუხუნაიშვილი, მელ. კუკულავა, [illegible] ხუხუნაიშვილი, ესე მგელაძე და ნასი [illegible]შვილი, ტყის გამოჩენ და სხვა წვრილმანი ქონების შესახებ კრებამ მიიღო: [illegible] კრება.

ცქვიტი.

სართიჭალა. [illegible] 7 თიბათვეს მოხდა არა ჩვეულებრივი კრება სართიჭალის სარაიონო გლეხთა საბჭოსი. კრებას მოხსენდა გლეხთა და მუშათა დელეგატების ყრილობის რეზოლიუციები. კამათი გამოიწვია განსაკუთრებით აგრარულმა საკითხმა. ზოგი ამტკიცებდნენ; ეხლავე უნდა ჩამოვართვათ ყველა მესაკუთრეთ მიწები და დავეპატრონოთ ჩვენ. ე. ი. სასოფლო მუნიციპალიტეტებიო. ხოლო მეორენი ამბობდნენ, უნდა მოვიცადოთ სანამ დრ. მთავრობა ამის შესახებ არ გამოსცემს რაიმე დადგენილებასო. ხოლო ზოგიერთები კი იმ აზრისა იყვნენ, რომ შესაძლებელია ეხლავე მუნიციპალიტეტების ხელში გადავიდეს მხოლოთ საეკლესიო, სამონასტრო, საკაბინეტო და საუფლისწულო მიწებიო, მაგრამ რადგან საბჭო ვერ დაადგა გარკვეულ გზას ამიტომ გადასწყვიტა სთხოვოს გაზეთის საშვალებით განმარტება მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ბიუროს. მანამდის კი სარაიონო საბჭომ გაგზავნა სამი კაცისაგან შემდგარი მომრიგებელი კომისია სოფ. საცხენისში, მოიჯარადრე მ. ელიავას და ხსენებულ სოფლის შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების მოსარიგებლათ.

დღევანდლამდის საბჭოს დახმარებიან ნივთიერად შემდეგი სოფლები: მალხაზოვკა 25 მ., საგარეჯო 100 მ. პატარძეული 60 მ. ნინოწმინდა 20 მ. ლილო 5 მ. ახალ სოფელი 10 მ. მარტყოფი 30 მ. მანავი 10 მ. ნოვონიკოლაევკა 10 მ. საცხენისი 5 მ. ხაშმი 30 მ. საბჭო სთხოვს დანარჩენ სოფლებსაც დახმარება გაუწიონ სარაიონო საბჭოს. ფულის გამოგზავნა შეიძლება ფოსტიტაც სართიჭალაში.

სართიჭალის სარაიონო გლეხთა ცენტრ. საბჭოს თავმჯდომარე გ. ი. კანჯარაშვილი.

ჭიათურა. აქ ამ დღეებში გამოუშვეს შემდეგი საყურადღებო ფურცელი „ჭიათურის ყველა დარგის მუშებისადმი“. ამხანაგებო! ამასწინათ ჩვენ მიერ წაყენებული მოთხოვნილებების უმთავრესი მუხლები დაკმაყოფილებულია: 8 საათის სამუშაო დღე გატხორციელებულია, ხელფასი საშუალოთ 50 პროცენტით გადიდდა, ხოლო ნარდათა და ფუთობით მუშაობა მოსპობილია. გარდა ამისა გვეძლევა სხვა ბევრი წვრილმანი გაუმჯობესებანი და უფლებანი, მაგრამ საჭიროა გვახსოვდეს, რომ შეთანხმება უფლებებთან ერთათ მოვალეობასაც გვაკისრებს. სხვანაირათ არც შეიძლება: ჩვენ მოვითხოვდით ჩვენი შრომის ჯეროვნათ დაფასებას და არა უშრომლათ და ცუღლუტობით მეტის მიღებას. ხაზეინებს არ შეუძლია და ვერც დაგვავალებთ ფული გვაძლიონ უფულოთ, ვერ დავავალებთ მოგვცენ იმაზე მეტი, რაც ჩვენ არ შეგვიქმნია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში წარმოება შეუძლებელი იქნებოდა, ხოლო წარმოების დაცემა პირველათ ყოველისა ჩვენთვისაა ვნება. ამიტომაც ჩვენი ვალია გავამართლოთ ის, რასაც ვიღებთ, რაც ჩვენზე იხარჯება. ესეც რომ არ იყოს, იმისთვის, რომ ჩვენ უფლება გვქონდეს ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესობაზე ვილაპარაკოთ, ყოველთვის პატიოსნათ უნდა ვასრულებდეთ ჩვენ მოვალეობას. ის მუშა, რომელიც მოვალეობას პირნათლათ არ ასრულებს, ვინც განსაზღვრულ საათებში პატიოსნათ არ მუშაობს, თითონ ართმევს თავისთავს უფლებას მოითხოვოს ცხოვრების გაუმჯობესება. მით უფრო დიდია ეს მოვალეობა იქ, სადაც 8 საათის სამუშაო დღე შემოღებულია და ნარდათ მუშაობა მოსპობილია.

სამწუხაროთ, გაფიცვის შემდეგ ზოგან ადგილი ქონია ნაშრომის დაკლებას. ეს არ მომხდარა ჭიათურაში არც ერთი გაფიცვის შემდეგ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეხლაც ასეთი მოვლენა შემთხვევითი იყო და არსად არ განმეორდება. დარწმუნებული ვართ, რომ მუშები არამც თუ თვით არ იკადრებენ ცუღლუტობას, არამედ არც არავის არ მისცემენ ამის ნებას. არა მუშას მუშათა შორის ადგილი არ უნდა ქონდეს.

მაშ გაუმარჯოს საკუთარ ინტერესების შეგნებას! გაუმარჯოს უფლების დაცვასთან ერთათ მოვალეობის პატიოსნათ ასრულებას!

ჭიათურის სამრეწველო მუშათა მოსამსახურეთა საქარხნო კომიტეტების ცენტრალური კომიტეტი.

წერილები რედაქციის მიმართ.

მე-233 სამხედრო პურის მცხობელთა ამხანაგების საყურადღებოთ. ჩემი ძმა ვიქტორ ლომთათიძე რვა თებერვალს უცაბედათ თფილისში ავათ გახდა და გაგზავნეს ქ. პეტროვსკში. როცა მივიდა დანიშნულ ალაგზე, მან მე გამომიგზავნა [illegible] 23 მ. და მწერდა, რომ ამხანაგებმა [illegible] ის ფული შემეტანა გაზეთ „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ. სამწუხაროთ ადრესი ჩემი არ იყო სწორედ ნაჩვენები და ფულის მიღება დაგვიანდა. მე არ დამიცდია ამისთვის და ჩემი ფულით გამოვიწერეთ სამი თვით გაზეთი. შემდეგ როცა მივიღე 23 მან. შევიტანე ფონდის გასაძლიერებლათ, და ამიტომ გთხოვთ, ამხანაგებო, ასეთი ბრალდებიდან გაანთავისუფლოთ ჩემი ძმა ვიქტორ ლომთათიძე. ჩემი ადრესი: Тифлисъ и. к. с. р. Ис. Депутатовъ Григорій Ломтатидзе.

ჯარისკაცი გიგო ლომთათიძე.

„ერთობის“ 58-ში ყვირილის მუშ. საბჭოს მდივანი და თავმჯდომარის ამხანაგი პ. მელაძისადმი საპასუხო წერილში მეც მიხსენიებენ „ჯინჭველაშვილის ფიზიონომია გამოარკვია ყვირილის მუშათა საბჭოს საგამომძიებლო კომისიამო“. რადგან საქმე (ძველი და ახალი ჩემსა და ამხ. შესახებ) არა თუ გამოარკვიეს პირიქით უფრო გაართულეს, მე მოვითხოვ დაუყონებლივ პარტიულ სასამართლოს, რომელიც უნდა შედგეს ყვირილაში.

მუხიანის რაიონის მუშათა და გლეხთა საბჭოს თავმჯდომარე სერ. სხივიშვილი.

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ერევნის გარნიზონში მყოფ ჯარისკაცებს 281 [illegible] პოლკისას, რომლებიდანაც მივიღეთ ჩვენ მეორე დივიზიაში მყოფმა ჯარისკაცებმა როგორც არტილერიამ და პარკმა, ისე პეხოტამაც, იმათი გამოგზავნილი და ნაჩუქარი თუთუნი, ფოსტის ქაღალდი, კონვერტი, კარანდაში და სხვა. მადლობას ვწირავთ.

ამხ. დავალებით მეხუთე პარკის სალდათი დიმიტრი ხ. წიტაიშვილი.

ს. ჩოჩხათი (გურია). ამესი მოისრაფელშვილის დახმარებით მოეწყო ფოსტა სოფ. ჯუმათიდან ჩოჩხათამდის, რისთვისაც დიდ მადლობას უძღვნით მცხოვრებნი.

ი. ბელატიშვილი.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

ჯარისკაცი ირაკლი ბეჟუკის ძე ტიკარაძე მსახურებდა ქ. ალექსანდროპოლში. დიდი ხანია მის შესახებ არაფერი ვიცით. გთხოვთ გვაცნობოთ მისი ამბავი შემდეგი მისამართით: სად. სუფსა მირონის ავეანდაძეს სოფ. ჩოჩხათში.

— ჯარისკაცი პავლე ბიგვავა მსახურებდა მე-22 ქვეითა ზაპასნი პოლკში მე-12 მარშევოი როტაში; თუ ვინმემ იმის შესახებ იცის რამე გვაცნობეთ შემდეგი მისამართით: კავკასიის ჯარი მე 25 კავკასიის მსროლელთა პოლკი მე-10 როტა გრ. მატახერიას.

— ჯარისკაცი სიმონ მაკარის ძე იაკობიძე მსახურებდა კავკასიის მომქმედ ჯარში, მე-16 მსროლელთა პოლკის, მე-2 როტაში, მის შესახებ არაფერი ვიცით. გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: სიღნაღი, პარმენ გელაშვილს, ან ჭიათურა სოფ. წასრი მაკარ იაკობიძეს.

— ჯარისკაცი ვანო ამირანის ძე ქართველიშვილი მსახურებდა მე 2 დივიზიაში მე-4 კავკასიის მსროლელთა არტილერიის ბრიგადაში მე-3 ზვოდში. თუ ვინმემ იცით ამის შესახებ რამე გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: სად. სურამი სანდრო [illegible] სოფ. ბრილის აღმასრულებელ კომიტეტ- მიტრო ქართველიშვილი.

— ჯარისკაცი პლატონ იულონის ძე გოხუა, მსახურებდა მე-12 ციმბირის მსროლელთა პოლკში. ვთხოვთ უმორჩილესად ვინც რაიმე იცის იმის შესახებ გვაცნობონ შემდეგი მისამართით: თფილისი ვლადიმერის ქ. № 26. ლენიკე ციცხლაძეს.

რედ.-გამომცემელი მღ. შ. ბოხოხაძე.

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მ. 40 კ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199, ВЛАСІЮ МАЛАКІЕВИЧУ БОХОХАДЗЕ.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლება-ში“ ოლღას ქუჩა, № 6.

ქ. თფილისში, ოლღას ქ. № 6, გ.-გაზეთების კანტორა და წიგნის მაღაზია

„განათლება“-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, რომლებიც გაეგზავნება მსურველთ ფულის გამოგზავნისთანავე.

მიიღება ხელის მოწერა ყველა ადგილობრივი ქართულ-რუსულ გაზეთებზე „ერთობა“, „ბორბა“, „კავკ. რაბოჩი“, „[illegible]“, „თეატრი და ცხოვრება“, „[illegible]“, „[illegible]“, „[illegible]“, „პაიქარი“, და ყველა ახლად გამოსული წიგნები.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ. Телеф. № 3—44.

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა [illegible] შესახვევი № 1.